პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 51 (10748) | პარასკევი, 1 მარტი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

საქართველოს მეშახტეების პაჭიოჭული ღირსების საქმე

დონბასელი მეშახტეების, შახტმშენებლების, ქვანახშირის მანქანათმშენებელი ქარხნების. გამამდიდრებელი ფაბრიკების და ქვანახშირის მრეწველობის სხვა საწარმოთა, აგრეთვე სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტების მუშაკთა მიმართვას, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა, მხურვალედ გამოეხმაურნენ ჩვენი რესპუბლიკის მეშახტეები.

უკვე მოდის ცნობები, რომ ტყიბულში, ტყვარჩელში და ახალციხის შახტებში ამ მიმართვის განხილვაში ათასობით მეშახტე მონაწილეობს. ყველა ერთსულოვნად იწონებს დონბასელების წინადადებას — ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავი, გადაჭრით გაადიდონ ქვანახშირის მოპოვება, გააფართოონ საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობა, დაჩქარონ და დანიშნულ ვადებში აამუშაონ ახალი შახტები და ჭრილები, რაც შეიძლება მეტი ლავები გადაიყვანონ ციკლური მუშაობის გრაფიკზე. საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკები დონბასელთა მიმართვის პასუხად ახალი, დამატებითი და კიდევ უფრო გადიდებული ვალდებულებების შესრულებას კისრულობენ.

როგორც ცნობილია, რესპუბლიკის მეშახტეები აქტიურად მონაწილეობენ რუსთავის მეტალურგების ინიციატივით საქართველოში გაჩაღებულ მასობრივ შეჯიბრებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად. მეტალურგებთან ერთად ისინიც ამ შეჯიბრების ტონის მიმცემნი და მოწინავენი არიან, წარმატებით იბრძვიან ქვანახშირის მოპოვების გადიდებისათვის, საკოქსე კონცენტრატის ნაცრიანობისა და თვითღირებულების შემცირებისათვის.

ახლა საქართველოს ქვანახშირის კომბინატის თითქმის ყველა შახტის კოლექტივი ასრულებს სადღეღამისო დავალებას. საგულისხმოა, რომ რაც დრო გადის, მეშახტეები თანდათან აძლიერებენ მუშაობის ტემპს, მტკიცედ ეუფლებიან რიტმულობას. რუსთავის მეტალურგების მიმართვის პასუხად სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის პირველი თვე — იანვარი მეშახტეებმა გეგმის გადამეტებით რამდენმე ათასი ტონა ქვანახშირის მოპოვებით აღნიშნეს. კიდევ უკეთეს წარმატებებს მიაღწიეს მათ თებერვალში. 26 თებერვლისათვის ტყიბულელმა მეშახტეებმა ქვანახშირის ამოღების გეგმა შეასრულეს 102,4 პროცენტით, ტყვარჩელელებმა — 100,6 პროცენტით, ხოლო ახალციხელმა მეშახტეებმა, რომლებიც ენერგეტიკულ ქვანახშირს გვაძლევენ, — 118,6 პროცენტით. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებების ანგარიშში განვლილ ორ თვეში ჩვენმა მეშახტეებმა უკვე მოგვცეს მრავალი ათასი ტონა ქვანახშირი.

ეს კარგი მაჩვენებლები. ისინი მოწმობენ ჩვენი მეშახტეების შრომითს თავდადებას, მზადყოფნას გააკეთონ ყოველივე, რაც დამოკიდებულია მათზე, ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი სწრაფი აღმავლობისათვის, სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

მაგრამ ამასთან საქართველოს ქვანახშირის მრეწველობაში ჯერ კიდევ ბევრი საქმეა მოსაწესრიგებელი. ჩვენს შახტებში, უწინარეს ყოვლისა ეს უნდა ითქვას ტყიბულქვანახშირის ტრესტის შახტების შესახებ, ჯერ კიდევ საკმაოდ არ ხორციელდება ღონისძიებანი ქვანახშირის მოპოვების პროგრესული მეთოდების დასანერგავად, კერძოდ ჰიდრავლიკური ვსების წესით მოპოვებითი სამუშაოების გასაფართოებლად. ამასთან აქ ჯერ კიდევ ფართოდ იყენებენ ჭერის ჩამოქცევის მეთოდს, რაც იწვევს ქვანახშირის დიდ დანაკარგს, ასუფთავებს მიწისქვეშა უსაშიშრობის ტექნიკას და მიუღებელია საერთო-სახალხო მეურნეობის ინტერესის თვალსაზრისით.

ჯერაც ვერ მოხერხდა ჩვენს შახტებში ციკლური გრაფიკით მუშაობის მტკიცედ დანერგვა. შარშან თითქმის ორ ათეულამდე ლავი იყო გადაყვანილი ასეთ გრაფიკზე, მათგან დაწესებული ნორმატივები 3-4 ლავში ძლივს შესრულდა. ეს იმას მოწმობს, რომ შახტებში სათანადოდ ვერ მოემზადნენ ციკლური მუშაობისათვის. წელს ციკლური გრაფიკით მუშაობა შემოღებულია 18 ლავში. იანვარში კი ციკლური მუშაობის ნორმატივი მხოლოდ 10 ლავში შესრულდა. ეს განვლილ წელთან შედარებით წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ მიზანი მაინც მიუღწეველია.

დონბასელების გადაწყვეტილება, რომ ყველა შახტში და ყველა ლავში მოპოვებითი სამუშაოები ციკლური გრაფიკით მოაწყონ, მისაბაძია ტყიბულელი, ტყვარჩელელი და ახალციხელი მეშახტეებისათვის.

ქვანახშირის ამოღების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების მთავარი საშუალებაა მეშახტის შრომის ნაყოფიერების ზრდა. ეს კი დამოკიდებულია სამუშაოთა მექანიზაციის დონეზე, არსებული სამთო ტექნიკის სრული სიმძლავრით გამოყენებაზე, მიწისქვეშა ტრანსპორტისა და მექანიზმების გაცდენის აღმოფხვრაზე, აგრეთვე მეშახტეთა შრომის რაციონალურ ორგანიზაციაზე. ამ მხრივაც ჩვენს მეშახტეებს და მათს ხელმძღვანელ სამეურნეო, პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი იმისათვის, რომ საქართველოს მეშახტეებმა მხარი გაუსწორონ ჩვენი დიადი სამშობლოს მეშახტეთა მოწინავე კოლექტივებს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ახლა ჩვენი ხალხის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად აყენებენ სამრეწველო და განსაკუთრებით საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გაფართოებასა და დაჩქარებას.

რესპუბლიკაში ქვანახშირის მრეწველობის შემდგომი გაფართოებისათვის ამჟამად დაწყებულია 3 ახალი შახტის მშენებლობა. წელს ჩვენი მეშახტეებისათვის ბინათმშენებლებმა უნდა ააგონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ 16.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, აითვისონ 12,8 მილიონი მანეთი კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების ასაშენებლად, ამასთან მოახდინონ 4 შახტის გაღრმავება. ყოველივე ეს ცხადყოფს, თუ რაოდენ დიდი ამოცანების შესრულება ეკისრებათ მეშახტეებთან ერთად საქართველოს შახტმშენებლებს.

დონბასელებმა დიდი ვალდებულებების შესრულება იკისრეს. მათი მაგალითისამებრ საქართველოს მეშახტეები და შახტმშენებლები ნამდვილი პატრიოტული თავდადებით იბრძვიან ახალი მიღწევების მოსაპოვებლად, სამშობლოსათვის მეტი ზეგეგმითი ქვანახშირის მისაცემად. საქართველოს მეშახტეთა სამეურნეო ხელმძღვანელები, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან სათავეში ჩაუდგნენ ჩვენი მეშახტეების ამ ბრძოლას, ყველა პირობა შეუქმნან მათ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის, მაღალხარისხოვანი ქვანახშირით მრეწველობის შეუფერხებლად მომარაგების უზრუნველყოფისათვის.

რესპუბლიკის მეშახტეები წელს მტკიცედ უნდა ჩადგნენ სახელოვანი საბჭოთა მეშახტეების დიადი არმიის პირველ წყებაში, გადაჭარბებით შეასრულონ ყველა სოციალისტური ვალდებულება. ეს არის ტყიბულელ, ტყვარჩელელ და ახალციხელ მეშახტეთა პატრიოტული ღირსების საქმე.

ერთსულოვნად იწონებენ დონბასელთა მიმართვას

ტყიბულელთა დამატებითი ვალდებულებები

ტყიბულქვანახშირის ტრესტმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა ქვანახშირის ამოღების ორი თვის საწარმოო გეგმა. აღსანიშნავია, რომ ორი თვის გეგმა შეასრულა ტრესტის ყველა შახტმა.

ტყიბულელთა გამარჯვება დაემთხვა დონბასელ მეშახტეთა და შახტმშენებელთა პატრიოტული მიმართვის გაცნობას ტყიბულის შახტებში.

ლენინის სახელობის შახტის მეოთხე უბნის მეორე ცვლის მეშახტეებს დონბასელების მიმართვა გააცნო უბნის უფროსმა ლ. ვაშაკიძემ. მნგრეველმა ა. ვარდოსანიძემ მიმართვის შინაარსის გაცნობის შემდეგ განაცხადა:

— ჩვენი ქვეყნის დღითიდღე მზარდი მრეწველობა მეშახტეებისაგან მოითხოვს მეტ ქვანახშირს. თვითეული ჩვენგანის სახელისა და ღირსების საქმეა მთლიანად დავაკმაყოფილოთ რესპუბლიკის მრეწველობის მოთხოვნილება სათბობზე, ხელი შევუწყოთ მეტალურგებს მეტი ლითონისათვის ბრძოლაში, ავტომობილმშენებლებს — მეტი ავტომანქანების გამოშვებაში. მრეწველობის ყველა დარგის საწარმოთა კოლექტივებს — მეტი სახალხო დოვლათის შექმნაში. დონბასელთა მიმართვის პასუხად მე პირადად ვკისრულობ წლიური საწარმოო გეგმა შეასრულო 7 ნოემბრისათვის.

უბნის მნგრეველებმა დონბასელთა მაგალითისამებრ იკისრეს ყოველთვიურად გეგმის გადამეტებით ამოიღონ ხუთ-ხუთი ტონა ქვანახშირი.

დონბასელთა მიმართვას გულდასმით გაეცნენ აგრეთვე სტალინის სახელობის, მოლოტოვის სახელობის და გელათის შახტები.

ტყიბულელმა მეშახტეებმა დონბასელების მიმართვასთან გაცნობის შემდეგ აიღეს დამატებითი ვალდებულება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის გეგმის გადამეტებით მისცენ სამშობლოს სულ ცოტა 13 ათასი ტონა ქვანახშირი. სამთო მოსამზადებელ სამუშაოთა წლიური გეგმა შეასრულონ 107 პროცენტით. ქვანახშირის თვითღირებულება შეამცირონ 1,2 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 1 პროცენტით, მიაღწიონ 1 მილიონი მანეთის ეკონომიას. მოქმედი ლავების ნახევარზე მეტი გადაიყვანონ ციკლურ გრაფიკზე.

დონბასელთა მიმართვას მხურვალედ გამოეხმაურნენ შახტმშენებლები. მათ იკისრეს წლის პირველ ნახევარში საექსპლოატაციოდ გადასცენ ახალი ჰორიზონტი, ააშენონ და მობინადრეთა შესასახლებლად გადასცენ 6.514 კვადრატული მეტრის შემცველი ახალი საცხოვრებელი სახლები.

გაზეთ „ტყიბულის მაღაროელის“ რედაქცია — „კომუნისტის“ კოლექტიური კორესპონდენტი.

მეტი ენერგეტიკული ქვანახშირისათვის

ახალციხე. **(ტელეფონით საკ. კორ.).** ახალციხის ქვანახშირის საბადოს მეშახტეთა კოლექტივმა 26 თებერვალს 118,6 პროცენტით გაანაღდა ქვანახშირის ამოღების თვიური დავალება. მეშახტეები მოწონებით შეხვდნენ დონბასელთა მოწოდებას და იკისრეს სათბობის მოპოვების პირველი კვარტალის დავალება 15 მარტისათვის გაანაღდონ. დონბასელთა მიმართვა ახალციხის პირველი შახტის კოლექტივს გააცნო პარტბიუროს მდივანმა შ. თოთაძემ. შახტის კოლექტივმა იკისრა წლიური გეგმა შეასრულოს პირველი დეკემბრისათვის, წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით ამოიღოს 8 ათასი ტონა ქვანახშირი, ხოლო 7 ნოემბრისათვის — 6 ათასი ტონა. ძირითად სამთო გამონამუშევართა გაყვანის წლიური გეგმა შეასრულოს 125 პროცენტით. გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება აამაღლოს 5 პროცენტით. ნაცრიანობა შეამციროს 0,1 პროცენტით. თვითღირებულების შემცირების გზით სახელმწიფოს მისცეს 200 ათასი მანეთის ეკონომია.

შახტის კოლექტივი უკეთესი მაჩვენებლების მოპოვებისათვის ეჯიბრება ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მეხუთე შახტის კოლექტივს. გადიდებული სოციალისტური ვალდებულებების შესრულება იკისრეს შახტის ცალკე უბნებმა და მოწინავე მეშახტეებმა.

მეორე შახტის კოლექტივმა, რომელმაც ქვანახშირის ამოღების თებერვლის გეგმა 26 თებერვლისათვის 124 პროცენტით შეასრულა, იკისრა საგეგმო დავალება შეასრულოს 5 დეკემბრისათვის. სამთო გამონამუშევართა გაყვანის გეგმა გაანაღდოს 110 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაადიდოს 2 პროცენტით და სახელმწიფოს მისცეს სულ ცოტა 100.000 მანეთის ეკონომია.

დონბასელთა მოწოდების საპასუხოდ

ტყვარჩელი. **(ტელეფონით საკ. კორ.).** ყველა შახტში, ახალმშენებლობებსა და საწარმოებში დიდი ინტერესით განიხილავენ დონბასის შახტების, მშენებლობათა და საწარმოთა კოლექტივების მიმართვას ყველა მეშახტისა და შახტმშენებლისადმი.

მაღალმთიანი შახტის ახიბლარის მეშახტეებმა, აწონდაწონეს რა თავიანთი შესაძლებლობანი, შემდეგი ვალდებულებები იკისრეს: დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავისთვის გეგმის გადამეტებით ამოიღონ 3.500 ტონა ქვანახშირი, წლიური დავალება შეასრულონ 20 დეკემბრისათვის და გეგმის ზევით სახელმწიფოს მისცენ 4 ათასი ტონა სათბობი. შახტის კოლექტივმა გადაწყვიტა სამთო მოსამზადებელ გამონამუშევართა გაყვანის გეგმა შეასრულოს 5 დეკემბრისათვის და წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გაიყვანოს 200 გრძივი მეტრი. შრომის ნაყოფიერება აამაღლოს 3 პროცენტით. სტანდარტთან შედარებით ქვანახშირის ნაცრიანობა შეამციროს 0,1 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით გასწიოს სულ მცირე 100 ათასი მანეთის ეკონომია.

ი. ბ. სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა გადაწყვიტა 7 ნოემბრისათვის გეგმის გადამეტებით ამოიღოს 1.200 ტონა, ხოლო წლის ბოლომდე — 2 ათასი ტონა ქვანახშირი. მეშახტეებმა იკისრეს აგრეთვე საგრძნობლად აამაღლონ შრომის ნაყოფიერება და შეამცირონ ქვანახშირის ნაცრიანობა.

მთლიანად ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის კოლექტივმა გადაწყვიტა ოქტომბრის დღესასწაულისათვის ამოიღოს 15 ათასი ტონა, ხოლო წლის ბოლოსათვის — 17 ათასი ტონა ზეგეგმითი ქვანახშირი. მეშახტეებმა ვალდებულება აიღეს აამაღლონ ქვანახშირის ხარისხი, 0,1 პროცენტით შეამცირონ მისი ნაცრიანობა. შახტმშენებლებმა კი იკისრეს სამთო მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმა შეასრულონ 103 პროცენტით, 5 დეკემბრისათვის შეასრულონ მეშახტეებისათვის საბინაო მშენებლობის წლიური გეგმა, წლის ბოლომდე გასწიონ 650 ათასი მანეთის ეკონომია. გარდა ამისა, მეშახტეებმა პირობა დადეს, რომ 0,5 პროცენტით გაადიდებენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნისათვის საკოქსე კონცენტრატის გამოშვებას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი

28 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა სოფლის მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი. თათბირს ესწრებიან მოწინავე კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, მტს-ების მექანიზატორები, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მეცნიერული, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, სულ 1.200-ზე მეტი კაცი. თათბირზე ჩამოვიდნენ აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის მშრომელთა დელეგაცია აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. დ. მ. მაგომაევის მეთაურობით, სომხეთის სოფლის მეურნეობის მშრომელთა დელეგაცია სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის ამხ. გ. ხ. მარქარიანის მეთაურობით, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ამხ. მ. ი. პარშიკოვი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობენ ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, პ. ვ. კოვანოვი, დ. ვ. მჭედლიშვილი, გ. ი. ქადაგიძე, ზ. ა. კვაჭაძე, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, მ. მ. ლელაშვილი, გ. ა. გეგეშიძე.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

შეკრებილებმა დიდი აღმავლობით აირჩიეს თათბირის საპატიო პრეზიდიუმში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი.

მოხსენება გასული სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგებისა და 1957 წლის ამოცანების შესახებ გააკეთა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს წითელწყაროს რაიონის სოფელ ვეფთ ანანიას სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ... ქართველოს სსრ კომპარტიის ... რაიკომის მდივანმა შ. ჭანუყვაძემ, მარნეულის რაიონის სოფელ კაჩაგანის კოლმეურნეობა „კომუნიზმის“ თავმჯდომარემ ა. ისმაილოვმა, აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. თხილაიშვილმა, გორის რაიონის სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ თავმჯდომარემ მ. ჯაშაშვილმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ი. ხოხლოვმა, ახალციხის რაიონის სოფელ წყალთბილას კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ე. სამუელიანმა, ჩაქვის ვ. ი. ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის ჩაის ფოთლის მკრეფავმა ტ. ცინცაძემ, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ვ. სანაკოევმა, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორმა ი. სარიშვილმა, საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის მდივანმა ველისციხის მტს-ის ზონაში ი. სიხარულიძემ, ზესტაფონის მტს-ის დირექტორმა მ. ბარბაქაძემ, სამტრედიის რაიონის სოფელ ნაფაღაურის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. ფრანგიშვილმა, გარდაბნის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ჰაჯიევმა, ელდარის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა პ. ბოლქვაძემ.

თათბირი მუშაობას განაგრძობს. (საქ. ფესი).

თბილისში ჩამოვიდა დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის დელეგაცია

28 თებერვალს სტალინგრადიდან თბილისში ჩამოვიდა დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის დელეგაციის წევრთა ჯგუფი. დელეგაცია საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მოწვევით. ჩამოსულთა შორის არიან ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის ბიუროს თავმჯდომარე, სახალხო პალატის დეპუტატი ჰანს ზაიგევასერი (დელეგაციის მეთაური), დოქტორი არტურ ლიბმანი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გერდ მაიზელი, ბერბელ ბიომი, ედელტრაუტ შრედერი, ლიზელოტა კრიუგერი, ჰაინც ბორმანი, ერიჰ ბუსე.

ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობის დროს დელეგაციას თან ახლავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. ს. კომაროვი.

აეროდრომი მორთულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით. გერმანელ სტუმართა შესახვედრად შეიკრიბნენ სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის წევრი ა. ლ. გუნია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ს. ს. როსტიაშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ე. მელაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ნ. უ. ჯაში, ი. ი. ჩხეიკვიშვილი, ნ. ა. ჯავახიშვილი, გ. ნ. ჯიბლაძე, დ. გ. მამამთავრიშვილი, ა. ა. გიგოშვილი, მ. ფ. ჩხეიძე, გ. ნ. ლეონიძე, ა. კ. კელენჯერიძე, ბ. ვ. ლორთქიფანიძე, ნ. მ. ბურმისტროვა, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ვ. ა. ქორორაძე, საზოგადოებრიობის, პრესისა და რადიოს წარმომადგენელნი.

თვითმფრინავი დაეშვა, იქიდან გამოვიდნენ დელეგაციის წევრები. პიონერებმა ყვავილების თაიგულები მიართვეს მათ.

გერმანელ სტუმრებს მიესალმა სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის წევრი ა. ლ. გუნია.

საპასუხო სიტყვაში დელეგაციის მეთაურმა ჰანს ზაიგევასერმა თქვა:

— ნება მიბოძეთ დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის დელეგაციის სახელით უღრმესი მადლობა გამოვთქვა გულითადი მიღებისათვის. თქვენს ქალაქში ყოფნის პირველ წუთებში მივესალმები თბილისის ყველა მცხოვრებს.

სსრ კავშირში ჩვენი დელეგაციის ყოფნამ, მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინგრადის დათვალიერებამ მკაფიოდ დაგვანახვა თუ რა ძლავრ მორალურ ძალას წარმოადგენს გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობა. უდიდესი შთაბეჭდილება დაგვიტოვა საბჭოთა ხალხის შრომითმა გმირობამ, მისი მშვიდობიანი მშენებლობის გრანდიოზულმა გეგმებმა, საბჭოთა ადამიანების შეუდრეკელმა, თავდადებულმა ინიციატივამ, მათმა სამშობლოს სიყვარულმა, მტკიცე გადაწყვეტილებამ შეინარჩუნონ და განამტკიცონ მშვიდობა.

დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტი, რომელიც აერთიანებს ყველა პარტიასა და მასობრივ ორგანიზაციებს — მუშათა კლასის პარტიის — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობით, პოლიტიკური სახალხო მოძრაობაა, რომლის პატრიოტიზმს საფუძვლად უდევს თავისი ხალხის ბედისათვის პასუხისმგებლობის შეგნება და ყველა ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის ჰუმანური გრძნობა.

ჩვენი ყველაზე დიდი სურვილია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება მთელ მსოფლიოსა და გერმანიაში. ჩვენ სიხარულით ვუჭერთ მხარს სსრ კავშირის მთავრობის წინადადებებს ადამიანთა მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვის, შეიარაღების შემცირების, მშვიდობის ზონის შექმნის და ამით ხალხთა კოლექტიური უშიშროების განხორციელების შესახებ.

თავისი სიტყვის დასასრულ ჰანს ზაიგევასერი ამბობს:

გაუმარჯოს გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!

შესვენების შემდეგ დელეგაციის წევრებმა ვიზიტი გაუკეთეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მ. დ. ჩუბინიძეს.

საღამოს გერმანელი სტუმრები ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაესწრნენ ბალეტ „გორდას“. (საქ. ფესი).

სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირის მონაწილეთა ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ): გალის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. აბლოთია, ჩოხატაურის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე ე. მამალაძე, მაიაკოვსკის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური ა. ბრძელიძე, დმანისის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლ. ქრისტესაშვილი, ჩოხატაურის რაიონის აგრონომი ე. უნგბაძე, ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ ბრიგადირი ა. მურუზიდი, ჩაქვის ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე ტ. ცინცაძე, მაიაკოვსკის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი გ. ფულარიანი, ხაშურის რაიონის ტაშისკარის კოლმეურნეობის მერგოლური ი. ხაჩიძე, ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი კ. სობოლევი.

სომეხ კოლმეურნეთა დელეგაცია საქართველოში

ჯერ ერთი წელიც არ არის, რაც სომხეთის სსრ კოტაიკის რაიონის სოფელ ელღოვნის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობა და საქართველოს სსრ ბოლნისის რაიონის დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ერთმანეთთან სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული, მაგრამ ამ მოკლე ხნის მანძილზე ელღოვნელ და ბოლნისელ კოლმეურნეთა შორის მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. შარშან შემოდგომაზე ბოლნისის რაიონის მშრომელები იყვნენ ელღოვანში, სადაც რამდენიმე დღის განმავლობაში ეცნობოდნენ სომეხ კოლმეურნეთა შემოქმედებითი შრომის ნაყოფს.

გუშინ ნაშუადღევს სომეხ კოლმეურნეთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში 18 კაცია, საპასუხო ვიზიტით ჩამოვიდა თბილისს ბოლნისში გასამგზავრებლად.

რკინიგზის თბილისის ვაგზალში სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ბოლნისის რაიონის წარმოგზავნილებმა.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან: პარტიის კოტაიკის რაიკომის პირველი მდივანი ა. მარდოიანი, ელღოვნის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ზ. ზაქარიანი, ამ კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი კ. პოღოსიანი, მეთამბაქოე რ. ბაღდასარიანი, მეცხვარეობის ფერმის გამგე ფ. არუთინიანი, მემინდვრეობის ბრიგადის ხელმძღვანელი ა. კარაპეტიანი, მწველავი მ. კარაპეტიანი, მერგოლური ა. ამბარცუმიანი, ვეტერინარი ექიმი კ. ავეტისიანი, კოლმეურნეობის ბუხჰალტერი გ. არუთინიანი და სხვები.

დელეგაცია ბოლნისის რაიონში დაჰყოფს 4-5 დღეს. იგი აქ გაეცნობა დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის მრავალდარგოვანი კოლმეურნეობის მუშაობის გამოცდილებას და გააფორმებს მასთან სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას მომდინარე წელს ახალ მიღწევათა მოსაპოვებლად. განზრახულია სოციალისტური შეჯიბრების ფარგლების გაფართოება — კოტაიკის რაიონსა და ბოლნისის რაიონს შორის სოციალისტური შეჯიბრების დაწყება.

გუშინ დღისით სტუმრებმა ბოლნისის რაიონის წარმოგზავნილებთან ერთად დაათვალიერეს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი, საღამოს კი იყვნენ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, სადაც ნახეს ბალეტი „გორდა“.

დღეს დილით სტუმრები ბოლნისს გაემგზავრნენ.

* * *

სურათზე: სომეხ კოლმეურნეთა დელეგაცია თბილისის ვაგზალში.

ახალი ტექნიკის დანერგვის გზით

მთელი ენერგიითა და მონდომებით იბრძვიან თბილისის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის ნაკისრი ვალდებულებების ვადაზე ადრე გასანაღდებლად.

საწარმოს კოლექტივმა უკვე მიაღწია წარმატებებს — იანვრის და თებერვლის-გეგმები გადაჭარბებით შეასრულა, 5,5 პროცენტით აამაღლა შრომის ნაყოფიერება, 1,4 პროცენტით შეამცირა თვითღირებულება და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მრავალათასი მანეთის მოგება მისცა.

წარმატებების მოპოვებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი ახალი ტექნიკის დანერგვამ. ძაფსახვევი მანქანა, რომელიც ორჯერ ზრდის შრომის ნაყოფიერებას და გაცილებით უკეთესი ხარისხის პროდუქციას უშვებს. საქსოვ და საწნავ საამქროებში ძველი კუსტარული მანქანები შეიცვალა ახალი, მაღალი წარმადობის მანქანებით, რამაც 40-50 პროცენტით გაზარდა შრომის ნაყოფიერება, შეამცირა მუშახელი. ფაბრიკის კოლექტივმა თებერვლის პირველ ნახევარში კიდევ უკეთეს შრომითს წარმატებებს მიაღწია.

საამქროებს შორის განსაკუთრებით დაწინაურდა საწნავი საამქროს კოლექტივი (უფროსი ნ. გოგოლაძე), რომელმაც კარგი მუშაობისათვის ფაბრიკის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა.

ინდივიდუალურ სოციალისტურ შეჯიბრებაში წინ მიდიან მქსოველები ნ. ხაინდრავა და ს. მანუკიანი, დამწნავი ე. ტოტოევი, მქარგავი ტ. ვლადიმიროვი, რომლებიც ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს 150-180 პროცენტით ანაღდებენ.

ახლებურად მოვაწყოთ პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობა

პროფკავშირის წევრთა მაღალი აქტივობის, გაშლილი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში ჩაიარა საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა პროფკავშირულ ორგანიზაციებში. საანგარიშო მოხსენებებში და კამათის მონაწილეთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ სკკპ XX ყრილობის შემდეგ საგრძნობლად გაცხოველდა პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა. საქარხნო და საფაბრიკო კომიტეტები უფრო აქტიურად მონაწილეობენ საწარმოთა ცხოვრებაში, უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

ამასთან ერთად საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე გამოაშკარავებულ იქნა პროფკავშირული მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი. მაგალითად, გამოირკვა, რომ აჭარის ადგილობრივი მრეწველობის მთელ რიგ საწარმოებში ბევრი ნაკლია მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებების მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკაში. აფეჯის ფაბრიკაში არარეგულარულად იწვევენ საერთო კრებებს, ამ კრებებზე სუსტია პროფკავშირული ორგანიზაციისა და ადმინისტრაციის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა კრიტიკა.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე დიდი ყურადღება მიექცა სოციალისტური შეჯიბრების გაშლის საკითხებს. აღინიშნა, რომ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები ნაკლებად ზრუნავენ სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობისათვის. ბათუმის გაერთიანებული კომიტეტი (თავმჯდომარე ე. ონკინა) და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები გვერდს უვლიან იმ ფაქტს, რომ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში დღემდე შემუშავებული არ არის სოციალისტური შეჯიბრების პირობები წარმოების კონკრეტულ თავისებურებათა გათვალისწინებით. ლიმონათის ქარხანაში, სარემონტო-მექანიკურ სახელოსნოებში, აფეჯის ფაბრიკასა და ქიმიურ ქარხანაში უკანასკნელ დრომდე სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამება ხდებოდა არა ყოველთვიურად, არამედ კვარტალურად. ძალიან ცოტა ყურადღება ეთმობა წარმოების მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებისათვის.

სერიოზული ნაკლოვანებანი იქნა გამოაშკარავებული საწარმოო თათბირების მუშაობაში. ხშირად საწარმოო თათბირების ოქმებსაც არ აფორმებენ, არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული რაციონალიზატორებთან და გამომგონებლებთან მუშაობა, დროზე არ ხდება რაციონალიზატორულ წინადადებათა განხილვა. შემთხვევიდან შემთხვევამდე იმართება საწარმოო თათბირები სარემონტო-მექანიკურ სახელოსნოებში, ლითონის ნაკეთობათა ქარხანაში, ქობულეთის რაიონის საწარმოო კომბინატში. უმეტეს შემთხვევაში საწარმოო თათბირების დღის წესრიგი ერთფეროვანია.

უნდა აღინიშნოს, რომ 1956 წელს აჭარის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა ბევრი რაციონალიზატორული წინადადება განახორციელეს, რამაც სახელმწიფოს 120 ათას მანეთზე მეტი ეკონომია მისცა. მაგრამ მუშათა თანასწორობა და რაციონალიზატორული აზრი ყოველთვის როდი პოულობს მხარდაჭერას. მაგალითად, ბათუმის საქალაქო სამრეწველო კომბინატის ინჟინერს ამხ. სტარკოვის მიზეზით დიდხანს გაჭიანურდა ლიმონათის ქარხნის რაციონალიზატორის ამხ. შანიძის წინადადების განხორციელება. ამხ. შანიძის წინადადება ითვალისწინებს ცხელი წყლის დიდი ავზის დადგმას ლიმონათის საამქროს მეორე სართულზე, რაც სათბობის დიდ ეკონომიას მოგვცემს.

ბათუმის ვოროშილოვის სახელობის მომთუთიებელ ქარხანაში საჭირო დახმარება არ აღმოუჩინეს რაციონალიზატორს ამხ. ნატროშვილს, რომელსაც უნდა განეხორციელებინა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება — ჭურჭლის მექანიკური მოთუთიება, რაც დღემდე ხელით ხდება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა ამოცანად დაგვისახა საბჭოთა პროფკავშირების მუშაობა ავიყვანოთ იმ დონემდე, რომ მათ სავსებით გაამართლონ თავიანთი მაღალი დანიშნულება—იყონ, როგორც ლენინი გვასწავლიდა, მართვის სკოლა, მეურნეობის გაძღოლის სკოლა, კომუნიზმის სკოლა. ეს პროფკავშირულ მუშაკებს ავალებს მეტი აქტივობა და პრინციპულობა გამოიჩინონ თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში, გადაჭრით აამაღლონ მთელი პროფკავშირული მუშაობის დონე. ამიტომ საჭიროა გულდასმით შევისწავლოთ საანგარიშო-საარჩევნო კრებების მონაწილეთა საქმიანი წინადადებანი, უზრუნველვყოთ მათი პრაქტიკულად განხორციელება, რათა სწრაფად აღმოვფხვრათ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

ს. რასტი,

საქართველოს პროფსაბჭოს საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობის განყოფილების ინსტრუქტორი.

რუმინელი მეტალურგები სამშობლოში გაემგზავრნენ

რუსთავი. (**საკ. კორ.**). ამ დღეებში დიდი ჯგუფი რუმინელი მეტალურგებისა, რომლებიც 6 დღეს საწარმოო პრაქტიკაზე იმყოფებოდნენ ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში, რუსთავიდან სამშობლოში გაემგზავრა. ქართველმა მეტალურგებმა რუმინელებს გულთბილი გაცილება მოუწყეს.

— რუმინელი ხალხის სახელით, — თქვა გამოთხოვებისას ახალგაზრდა ინჟინერმა ვასილი საუმ, — სულით და გულით ვუძღვნი მადლობას რუსთავის მეტალურგებს, რომლებმაც რუმინელი ახალგაზრდების მიმართ მშობლიური მზრუნველობა გამოიჩინეს და ხელი შეგვიწყეს მოკლე ხანში დაეუფლებოდით ფოლადის უნაწიბურო მილების გლინვის რთულ პროფესიას. პირობას ვიძლევით ღირსეულად გავამართლოთ ქართველ მასწავლებელთა ამაგი და მშობლიურ ქალაქ რომანში, სადაც ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აღჭურვილი ახალი მილსაგლინავი ქარხანა აშენდა, წარმატებით ავითვისოთ ფოლადის მილების წარმოება.

სწრაფად გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი, მაღალ აგროტექნიკურ ვადებში ჩავატაროთ საგაზაფხულო კულტურების თესვა

ხვნა ჭიანურდება, თესლი უკონდიციოა

გაზეთ „კომუნისტის“ რეიდი

დეკემბერი და იანვარი სუსხიანი იყო, მაგრამ თებერვალში შესამჩნევად დათბა. ამან ხელსაყრელი პირობები შექმნა იმისათვის, რომ მთელი ძალით გაჩაღდეს მზადება საგაზაფხულო თესვისათვის. ახლა ცხაკაიას, რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ბეჯითად შრომობენ.

სოფელ თეკლათის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში მტს-ის დახმარებას არ დაელოდნენ და საყანე ფართობებს საკუთარი გამწევი ძალით ხნავენ. 23 თებერვალს პირველი ბრიგადის კოლმეურნეები ვ. სამინავა, ვ. სიგუა, ძმები მ., ს. და დ. შამათავები დილით ადრე გამოვიდნენ და თვითეულმა 0,2 ჰექტარზე მეტი მოხნა. ამ სამუშაოზე გამოყენებულია 45 უღელი მუშა-პირუტყვი. მინდვრად უკვე გაიტანეს 300 ტონა ნაკელი და შლამი. შეღებილია ყანა 3.500 გრძივ მეტრზე, ათვისებულია 15 ჰექტარი ყამირი. კოლმეურნეებმა გადაწყვეტეს სიმინდის დასათესად განკუთვნილი 220 ჰექტარი ფართობის პირველი ხვნა 25 მარტისათვის დაამთავრონ.

ჩაის სამუშაოებს დიდძალი მუშახელი ესაჭიროება. მათი დაგვიანება არ შეიძლება. ფოცხოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობა და პირველადი პარტიული ორგანიზაცია მთავარ ყურადღებას აქცევენ ხვნას. აქ მოხნულია 50 ჰექტარი, აქედან საკუთარი ძალებით 30-მდე ჰექტარი. ძველი სენაკის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას კარგად ეხმარება მტს-ის ტრაქტორისტი ბ. ბაღათურია, რომელმაც მოხნა 90 ჰექტარი.

მაგრამ საერთოდ რაიონში თესვისათვის მზადება დამაკმაყოფილებელი არ არის. წელს სულ მოსახნავია 8.759 ჰექტარი. ცნობილია, რომ ხვნის დაგვიანება დაბალი მოსავლიანობის ერთ-ერთი მიზეზია.

სრული უდარდელობა იგრძნობა ნოსირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ მთელი სამუშაოების 90 პროცენტი მტს-მა უნდა შეასრულოს, მაგრამ 23 თებერვლისათვის ხვნა დაწყებულიც არ იყო. როდის მოასწრებენ 505 ჰექტარის დამუშავებას? ჯერ კიდევ ნაადრევად მიაჩნიათ ხვნის დაწყება თეკლათის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. ფართობები გაწმენდილი არ არის გასული წლის ნათესის ნარჩენებისაგან.

ნაქალაქევის თოფურიძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე აგრონომი გრ. კარტოზია) ხვნის დავალებას ჯერ კიდევ არ იცნობენ ბრიგადებში, რგოლებში. მუშა-პირუტყვისათვის არა აქვთ კონცენტრირებული საკვები. შარშან აქ ერთ შრომადღეზე გასცეს 1,6 კილოგრამი მარცვალი. წელსაც იგივე გამეორდება, თუ ასე იზარმაცეს. ზოგიერთი კოლმეურნე თავს არიდებს საზოგადოებრივ შრომას. ს. არჩაიამ აგროტექნიკუმი დაამთავრა და ფიზიკური შრომა სირცხვილად მიიჩნია. წელს შრომადღეები არ გამოუმუშავებიათ კოლმეურნეებს ჭ. არჩაიას, ჯ. გაგუას, ბ. კილასონიას, აკ. პაპასკირსა და სხვებს. კოლმეურნეობის აგრონომმა შ. გოგიამ არც იცის რამდენის მოხვნას ითვალისწინებს დღიური დავალება. კოლმეურნეობამ თესლის კონტროლის ლაბორატორიაში წარადგინა სათესლე სიმინდის ნიმუში, მაგრამ სინამდვილეში თესლი არა აქვს. ეს კარგად იცის აგრონომმა შ. გოგიამ, რომელსაც თვალისახვევის ასეთი ფაქტი ნორმალურად მიაჩნია.

10 თებერვალს ამ კოლმეურნეობაში მოვიდა ტრაქტორისტი გ. კინწურაშვილი, რომელმაც 55 ჰექტარი მოხნა. მაგრამ 22 თებერვალს ტრაქტორი დაზიანდა და ტრაქტორისტმა მხოლოდ 2 საათი იმუშავა. ხვნა კი გვიანდება. 40 უღელი გამწევი ძალა კოლმეურნეობაში დატვირთვით არ არის გამოყენებული.

კოლმეურნეობებს აქვთ სიმინდის თესლი, მაგრამ იგი ყველგან უკონდიციოა ტენიანობის მხრივ. ეს იმის შედეგია, რომ კოლმეურნეობათა გამგეობებსა და პარტიულ ორგანიზაციებს მხედველობიდან გამორჩათ შარშანდელი წლის თავისებურება — მოსავლის აღება მიმდინარეობდა არახელსაყრელ ამინდში, თოვლშიც კი. ამის გამო მარცვლის დიდი ნაწილი ზედმეტად დანესტიანდა, ზოგიც ბოლომდე არ მომწიფებულა. ამიტომ სათესლე მასალის შერჩევას და შენახვას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა. ეს სოფლის მეურნეობის სპეციალისტების ბრალიც არის. თითქმის არავინ არ ეწევა სიმინდის ხელოვნურად გაშრობას.

მეტად მნიშვნელოვანია თესლის დაყალიბება. წელს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მტს-ს გამოუგზავნა ისეთი დამაყალიბებელი მანქანა, რომელიც სიმინდისათვის უვარგისი აღმოჩნდა.

ცხაკაიას მტს-ის კოლექტივმა დროზე შეასრულა ტრაქტორების რემონტის დავალება, მაგრამ სატრაქტორო პარკის სიმძლავრე სრულიად არ არის საკმარისი იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც რაიონის სოფლის მეურნეობის წინაშე დგას.

თესვისათვის მზადებაში არსებული ნაკლოვანებანი სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს. მტს-ს, კოლმეურნეობებს მეტი დახმარება და ოპერატიული ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ პარტიის ცხაკაიას რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა.

რეიდის მონაწილენი:

პ. ლატარია — მტს-ის პარტბიუროს მდივანი, **ლ. კუპრეიშვილი** — მთავარი აგრონომი, **ვ. შენგელია** — სახელოსნოს გამგე, ინჟინერი, **ს. კუჭავა** — რაიგაზეთ „ავანგარდის“ სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, **ა. კვირკველია** — რაიგაზეთის მუშაკი, **ბ. მილიუტინი** — „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ა რ ჩ ქ ა რ ო ბ ე ნ

საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის მზადება ნელა მიმდინარეობს გორის რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებში. ზოგან ჯერაც არ დაუწყიათ სათესლე მასალის აყვანა კონდიციამდე, აკლიათ თესლის ნაწილიც, ჭიანურდება სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტი, მინდვრად ნელი ტემპით ეზიდებიან ორგანულ სასუქს.

შემოწმებამ ტყვიავის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში საგაზაფხულო თესვისათვის მზადების სერიოზული ნაკლოვანებანი გამოავლინა. სოფელ ფხვენისის კოლმეურნეობა „მნათობში“ სიმინდის თესლი ტენიანია. სიწმინდით უკონდიციოა ლობიოს თესლი. მიუხედავად ამისა, აქ-მაინც არ ჩქარობენ თესლის შომზადებისათვის. კოლმეურნეობის გამგეობა და აგრონომი ი. ომაძე გადამჭრელ ზომებს არ იღებენ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

უფრო ცუდი მდგომარეობაა სოფელ შინდისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ არის თვალისახვევის ფაქტიც. მაგალითად, კოლმეურნეობას ტყვიავის მტს-ისა და თესლის კონტროლის რაიონული ლაბორატორიისათვის გაგზავნილი აქვს ცნობა, რომ გამოყოფილია 53 ცენტნერი სიმინდის თესლი. შემოწმებამ კი ცხადყო, რომ ეს ყალბი ცნობაა. კოლმეურნეობას იანვრის ბოლო დეკადაში ფაქტიურად გამოყოფილი ჰქონდა მხოლოდ 24 ცენტნერი სიმინდის თესლი.

აღსანიშნავია ერთი ფაქტიც. მარტო ტყვიავის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში მზრალად მოუხნავი დარჩა 1.250 ჰექტარი, რაც ადრე გაზაფხულზე უნდა მოიხნას. კოლმეურნეობათა ერთი ნაწილი მთელ იმედს მექანიზაციაზე ამყარებს და არ ზრუნავს საკუთარი სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შეკეთებაზე. მეღვრეკისის, შინდისის, ტყვიავის, ყელქცეულის და სხვა კოლმეურნეობებში გააჭიანურეს სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტი.

საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მტს-ის პარკის მომზადებას. ტყვიავის მტს-ი, მართალია, გადამეტებით ასრულებს ტრაქტორებისა და მისაბმელი მანქანების რემონტის გეგმებს, მაგრამ არ შეიძლება შეეურიგდეთ იმ ფაქტს, რომ დანერგილი არ არის რემონტის კვანძური მეთოდი და ტრაქტორებს ძველი ბრიგადული წესით არემონტებენ.

მტს-ის პარტიული ორგანიზაცია (ბიუროს მდივანი რ. ურიგაშვილი) აშკარა შეუფასებლობას იჩენს ისეთი დიდი საქმისადმი, როგორიც არის სოციალისტური შეჯიბრება. სხვანაირად როგორ უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ამ საქმეში გამეფებულია ფორმალიზმი. მექანიზატორთა დიდი ნაწილი არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს.

მ. ხეთაგური,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ყოჩაღ, თელაველო ახალგაზრდა კოლმეურნეებო!

ორი-სამი წლის წინათ თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში მეცხოველეობა ჩამორჩენილი იყო. მართალია, აქ პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმებს ასრულებდნენ, მაგრამ არა საკუთარი წარმოებით, არამედ შესყიდვით. თვითეული საფურაჟე ძროხის წველადობა ოთხას-ხუთას კილოგრამს არ აღემატებოდა.

სულ სხვა სურათია ახლა. პირუტყვს მტკიცე საკვები ბაზა შეუქმნეს, ფართო და ნათელი ბინები ააგეს. შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია განახორციელეს. ამ ღონისძიებებმა სასურველი შედეგი გამოიღო. გასულ სამეურნეო წელს თვითეულ ძროხაზე 1.049 კილოგრამი რძე მიიღეს, გეგმა კი ცხრაასს ითვალისწინებდა. ყოველ ას ჰექტარ სავარგულებზე გეგმის გადამეტებით ერთი ცენტნერით მეტი ღორის ხორცი აწარმოეს. გაასუქეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 105 სული ღორი.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში ბევრმა კოლმეურნემ ისახელა თავი. მათ შორის არის კომკავშირელი ვ. ჩუბინაშვილი. იგი გამოცდილი, ენერგიული მეღორეა. შარშან ადგილობრივი ჯიშის 11 დედაღორს უვლიდა. გოჭების მიღებისა და გაზრდის დავალება დიდი გადამეტებით შეასრულა. წარმატებას მიაღწია ღორების გასუქების საქმეშიც. ავტოსაკვებურების გამოყენებით გასუქების ხანგრძლივობა ორჯერ შეამცირა და წონაში თვითეული ღორის სადღეღამისო მატება ერთ კილოგრამამდე აიყვანა.

მეცხოველეობის განვითარების საქმეში სერიოზულ მუშაობას ეწევა კომკავშირული ორგანიზაცია.

ამას წინათ კომკავშირის ორგანიზაციის კრებამ, რომელსაც კავშირგარეშე ახალგაზრდებიც ესწრებოდნენ, განიხილა საკითხი „მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში კომკავშირელთა როლის ამაღლების შესახებ“. მოხსენება გააკეთა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. გ. ცხადაძემ. მან ილაპარაკა იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არის მეცხოველეობის ფერმებში. ახალგაზრდობის ერთი ნაწილი პირუტყვის მოვლა-პატრონობას რატომღაც თაკილობს.

სიტყვით პირველი გამოვიდა მეღორე ვ. ჩუბინაშვილი. მან თავისი მუშაობის გამოცდილებაზე ილაპარაკა, ამასთან აღნიშნა, რომ მუშაობაში ხელი ეშლება: დოლფარები მოუწყობელია, წყალს შორი მანძილიდან ეზიდებიან და სხვ. მან ვალდებულება იკისრა მიმდინარე წელს გოჭების მიღება-გაზრდის დავალება 120 პროცენტით შეასრულოს.

კომკავშირელებმა კ. ოთარაშვილმა, გ. ფარადაშვილმა, გ. დათიშვილმა, ე. ავაქოვმა, ფ. ხახნაიძემ აღნიშნეს, რომ მწყემსთა საყოფაცხოვრებო პირობები გადაჭრით გაუმჯობესებას მოითხოვს. ბინებში ღუმელები არ არის, ჟურნალ-გაზეთებს დაგვიანებით იღებენ, არ უჩვენებენ კინოფილმებს.

ახალგაზრდებს მეცხოველეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ დაწვრილებით ელაპარაკნენ პარტიის თელავის რაიკომის მდივანი ამხ. ზ. გელდიაშვილი და კომკავშირის რაიკომის მდივანი ამხ. მ. მეზვრიშვილი.

კომკავშირელმა ს. ხუციშვილმა თქვა:

— მეცხვარეობის ფერმაში საქმე კარგად ვერ არის. მატყლის მიღების დავალება არ სრულდება, არის ცხვრის სიკვდილიანობის შემთხვევები. წავალ ცხვარში, იქ კარგად ვიმუშავებ.

ხუციშვილის მაგალითს სხვებმაც მიბაძეს. ტ. კეკლაშვილმა მეღორეობის ფერმაში სამუშაოდ წასვლა ითხოვა, ელენე კევლიშვილმა და მაყვალა ჯიმშიტაშვილმა — მეფრინველეობის ფერმაში.

კრებამ დასახა ღონისძიებანი მეცხოველეობის აღმავლობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის მთავარია ის, რომ წელს კურდღელაურელი ახალგაზრდები გაასუქებენ და სახელმწიფოს ჩააბარებენ 250 სულ ღორს. კილოგრამი ხორცის თვითღირებულებას შარშანდელთან შედარებით 15 პროცენტით შეამცირებენ.

ვალდებულებათა შესრულებას უკვე შეუდგნენ. მეღორეობის ფერმაში დოლფარები გააკეთეს, დაიწყეს წყლის მიყვანა, ფერმებში მოაწყეს წითელი კუთხეები, შეიქმნა საკვებმოპოვების კომკავშირული ბრიგადა, რომელშიც 80-მდე ახალგაზრდა გაერთიანდა.

კურდღელაურელთა მაგალითს რაიონის კოლმეურნე ახალგაზრდობა ფართოდ გამოეხმაურა. მეცხოველეობის ფერმებში სამუშაოდ უკვე 150-ზე მეტი ახალგაზრდა წავიდა. ისინი მონდომებით, საქმის სიყვარულით მუშაობენ. ლეჩურის კოლმეურნეობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმაში კომკავშირელმა მწველავებმა მარიამ არჩევნიშვილმა და მარიამ კულაღაღაშვილმა შარშანდელთან შედარებით 20 პროცენტით გაადიდეს თვითეული საფურაჟე ძროხის წველადობა. ყარაჯალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ფერმაში კომკავშირელი მწველავები მ. ნოვრუზოვი და დ. ყურბანოვი წველადობის დღიურ დავალებებს 115-125 პროცენტით ასრულებენ. ქვემოხოდაშნელი კომკავშირელები გ. კუკუჯანიშვილი და ვ. ვახტანგიშვილი მეცხვარეობის ფერმაში წავიდნენ სამუშაოდ. ისინი ახლა შირაქის საზამთრო საძოვრებზე არიან. დღლი დაიწყო. მიღებული ბატკნები ნორმალურად იზრდებიან.

ვარდისუბნის, კურდღელაურის, გულგულის, ვანთის, ბუშეტისა და კისისხევის მეღორეობის ფერმები კომკავშირულ-ახალგაზრდულად გამოცხადდა. დოლი ყველგან ნორმალურად მიმდინარეობს. კურდღელაურელმა ახალგაზრდებმა პირველი 150 გოჭი მიიღეს და შეინარჩუნეს.

რაიონის ახალგაზრდობა დიდ ინტერესს იჩენს მეფრინველეობის შემდგომი განვითარებისადმი. კომკავშირის რაიკომმა მოაწყო მეფრინველეობის მუშაკთა გადასამზადებელი ორკვირიანი კურსები, რომელიც ორმოცმა ახალგაზრდამ დაამთავრა. ისინი ყველანი ფერმებში წავიდნენ სამუშაოდ. რაიონის მეფრინველეობის ყველა ფერმა კომკავშირულ-ახალგაზრდულია. ქვემო ხოდაშნის კოლმეურნეობა „შრომის კავშირის“ მეფრინველეობის ფერმას კომკავშირელი ე. დათუბოვა ჩაუდგა სათავეში, ა. ხალიჩაშვილი კი მომვლელად მუშაობს. ფერმაში საგრძნობლად გადიდდა კვერცხმდებლობა. ყველაფერი მზად არის წიწილების გასაზრდელად.

რაიონის ახალგაზრდობა მჭიდროდ დაირაზმა პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად. გარდა კურდღელაურის სასოფლო-სამეურნეო არტელისა, საკვებმოპოვების კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები შეიქმნა აგრეთვე ართანის, შალაურის, ბუშეტისა და აკურის კოლმეურნეობებში.

დასაწყისი კარგია. ყველა პირობაა იმისათვის, რომ მომავალი უკეთესი იყოს. თელავის რაიონის კოლმეურნე ახალგაზრდობა, რომელიც აღფრთოვანებულია პარტიისა და მთავრობის მუდმივი მზრუნველობით, დაკისრებულ მოვალეობას სასახელოდ შეასრულებს.

ს. ჟოჩლაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სასოფლო-საქართველოს ფურცლიდან

რაზომ აღარ გამოდის „კოლმეურნის კალენდარი"?

ბევრი კოლმეურნის, ბრიგადირის, აგრონომის, მექანიზატორის, კოლმეურნეობის თავმჯდომარის, ტრაქტორისტის და სოფლის მეურნეობის სხვა მუშაკისაგან ხშირად მსმენია დადებითი შეფასება „კოლმეურნის კალენდრისა", რომელიც სოფლის მეურნეებს დიდად ეხმარება პრაქტიკულ მუშაობაში. მკითხველები წელს მოუთმენლად მოელოდნენ „კოლმეურნის კალენდრის" გამოსვლას, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. როგორც შარშან, ისე წელსაც „კოლმეურნის კალენდარი" ქართულ ენაზე არ გამოსულა.

რატომ? ეგებ არ არის სათანადო პირობები მისი გამოცემისათვის? ასე რომ იყოს, მაშინ რაღა გვეთქმის. „კოლმეურნის კალენდარს" ჰყავს სარედაქციო კოლეგია 9 კაცის შემადგენლობით (რედაქტორი მ. დ. ბუჯიაშვილი), ხოლო გამოცემა დავალებული აქვს სახელგამს, მაგრამ არც ერთი, არც მეორე ორი წელია თავს არ იწუხებს „კოლმეურნის კალენდრის" გამოცემისათვის.

ვფიქრობთ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას და აქედანვე მიიღებს საჭირო ზომებს 1958 წლისათვის „კოლმეურნის კალენდრის" დროულად გამოცემის უზრუნველსაყოფად.

აგრონომი დ. ფაილოძე.

მტკივნეული საკითხი

1955 წლის დასაწყისში ქ. ოჩამჩირეში სანაპიროს ქუჩაზე ამუშავდა ახალი აბანო. მშრომელები მოელოდნენ, რომ ქალაქის მოსახლეობის აბანოთი მომსახურება ამის შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდებოდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. პირველ ხანებში (1-2 თვეს) აბანო, მართალია, ერთგვარი შეფერხებით, მაგრამ კვირაში 2-3 დღეს მაინც მუშაობდა. დადგა გაზაფხული და მან მუშაობა შეწყვიტა.

მას შემდეგ თითქმის ორი წელი გავიდა, მაგრამ აბანო მაინც არ მუშაობს. მეორე წელია, რაც არ მუშაობს ოჩამჩირის რკინიგზელთა აბანოც. ამჟამად მთელ ქალაქში მხოლოდ ერთადერთი და ისიც კეთილმოუწყობელი შხაპი მუშაობს სასტუმრო „ოჩამჩირესთან".

საქალაქო საბჭოს აღმასკომის აბანო-საპარიკმახეროების განყოფილება (გამგე თ. ნარმანია) სრულებით არ ითვალისწინებს მშრომელთა სამართლიან მოთხოვნილებას.

ვ. დოხნაძე.

იბრძვიან წველადობის გადიდებისათვის

ასპინძის რაიონის სოფელ ოშორის ვ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მეცხოველეობა ყველაზე ჩამორჩენილი დარგი იყო. 1948 წელს საშუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე აქ მხოლოდ 178 კილოგრამი რძე მიიღეს. ასეთი დაბალი წველადობა იმის შედეგი იყო, რომ პირუტყვს არ ჰქონდა კეთილმოწყობილი ბინები, ყურადღება არ ექცეოდა საკვების დაგროვებას, ადგილი ჰქონდა დედა-პირუტყვის ბერწიანობას და სხვ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის შემდეგ ოშორის კოლმეურნეობაში მეცხოველეობამ სწრაფი ტემპით დაიწყო განვითარება. ამაში გადამწყვეტი როლი შეასრულა მტკიცე საკვები ბაზის შექმნამ, ფერმის დაკომპლექტებამ საქმის მცოდნე და უნარიანი მუშაკებით, პირუტყვის კეთილმოწყობილი ბინებით უზრუნველყოფამ და მისი მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებამ. უკვე 1954 წელს კოლმეურნეობამ თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიიღო 720 კილოგრამი რძე, თითქმის 3-ჯერ მეტი, ვიდრე 1953 წელს.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის დარგში აღებული ტემპი კოლმეურნეობაში აღარ შეუნელებიათ და 1956 წელს ერთ საფურაქე ძროხაზე საშუალოდ მიიღეს 1.127 კილოგრამი რძე. ეს იმაზე გაცილებით მეტია, რაც საშუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე მიიღეს ამ კოლმეურნეობაში 1951, 1952 და 1953 წლებში ერთად.

ეს მიღწევები მოპოვებულია კოლმეურნეობის მწველავ ქალთა თავდადებული შრომით. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ასპიროზ კალისტრატეს ასული სახელაშვილი, რომელიც ამასთან მოწინავე სოფლკორია და არჩეული იყო მუშსოფლკორთა რესპუბლიკური ყრილობის დელეგატად.

ასპიროზმა ფერმაში პირველად 1948 წელს დაიწყო მუშაობა აღმრიცხველის თანამდებობაზე. 1954 წლიდან, როცა კოლმეურნეობის გამგეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მეცხოველეობის განვითარებას და მთავარ ამოცანად დაისახეს ფერმების განმტკიცება კადრებით, ასპიროზ სახელაშვილმა მოსავლელად აიყვანა 9 ძროხა და უკვე 1955 წელს თვითეულისაგან საშუალოდ 1.060 კილოგრამი რძე მიიღო. 1956 წელს მან წველადობა კიდევ უფრო გაზარდა, ხოლო მიმდინარე სამეურნეო წლის განვლილ 4 თვეში თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიიღო 263 კილოგრამი რძე. ასპიროზ პირობას იძლევა, რომ მიმდინარე სამეურნეო წელს თვითეულ საფურაქე ძროხაზე სულ ცოტა 1.500 კილოგრამ რძეს მიიღებს.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდაში დიდი როლი შეასრულა იმან, რომ კოლმეურნეობის გამგეობა მტკიცედ იცავს მეცხოველეობის მუშაკთა მატერიალური დაინტერესების პრინციპს. გასულ წელს, მაგალითად, ნამატის მიღება-შენარჩუნებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გაზრდისათვის ასპიროზ სახელაშვილს კოლმეურნეობამ საჩუქრად ერთი ხბო მისცა.

მეცხოველეობაში წარმატების ძირითადი პირობაა ფერმის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, რომელსაც ახლა დიდ ყურადღებას აქცევენ კოლმეურნეობის გამგეობა და მტს-ი. ფერმაში უკვე მოწყობილია ავტოსარწყულებლები, გაყვანილია საკვების შესაზიდი საბაგირო გზა.

ოშორელი კოლმეურნეები სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული არიან ახალქალაქის რაიონის სოფელ დიდი სამსარის კოლმეურნეებთან. მათი მტკიცე გადაწყვეტილებაა სასახელოდ შეასრულონ შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები.

ა. ღიბრაძე,
ასპინძის რაიონული გაზეთის „სოციალისტური სოფლის" რედაქტორი.

გზებს საჭირო ყურადღება არ ექცევა

რამდენიმე წლის წინათ გეგეჭკორის რაიონის სოფელ ნახარებაოდან სოფელ ბანძამდე გასჭრეს 10 კილომეტრი სიგრძის გზა, დაყარეს რამდენიმე ასეული ურემი ქვა-ღორღი, გზის გაყოლებით დარგეს მცენარეები. გზის საექსპლოატაციოდ გადაცემას ცოტა აკლდა, რომ მუშაობა შეწყდა. მცენარეები განადგურდა, ღორღი ბალახმა დაფარა. ჭიანურდება აგრეთვე ბანძა-ცხაკაიას მიმართულებით მდინარე აბაშაზე ხიდის მშენებლობა, რომელიც გასულ წელს დაიწყო.

სათანადო ყურადღება არ ექცევა არსებული გზებისა და ხიდების მოვლა-პატრონობას. მაგალითად, ხიდი მდინარე ტარჩენზე ავარიულ მდგომარეობაშია, მაგრამ მისი შეკეთებისათვის არავინ ფიქრობს.

დროა ბოლო მოვუღოთ უდარდელობას საგზაო მშენებლობის საქმეში. რაიონის მშრომელები მოითხოვენ ჰქონდეთ კეთილმოწყობილი გზები, ისეთი, როგორიც აქვთ ჩვენი რესპუბლიკის სხვა რაიონებს, მით უფრო, რომ გეგეჭკორის რაიონის სოფლები ათეულ კილომეტრობით არიან დაშორებული რკინიგზის ხაზს.

შ. გვალია,
ო. თენიეშვილი,
გეგეჭკორის რაიონის ნახარებაოს 7-წლიანი სკოლის მასწავლებლები,

მ. ბირკაია,
დაბა გეგეჭკორის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის № 6 ბრიგადის ბრიგადირი.

ავტომოგილმშენებელთა დაგაში

ახალი საცხოვრებელი სახლები

სულ უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი ხდება ქუთაისელ ავტომობილმშენებელთა დაბა. შარშან აქ საექსპლოატაციოდ გადაეცა ბევრი საცხოვრებელი სახლი, მოასფალტდა ქუჩები, დაირგო ათასობით ხე. ამჟამად დაბაში შენდება ხუთი დიდი სამსართულიანი 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლი. მარტო ამ სახლების აგებით ავტომობილმშენებლები 4.300 კვადრატულ მეტრ ახალ საცხოვრებელ ფართობს მიიღებენ. გარდა ამისა, შენდება სამი საერთო საცხოვრებელი, რომელთაგან ერთი ამ დღეებში დამთავრდება. თვითეულ საერთო საცხოვრებელში 130 ავტომობილმშენებელი იცხოვრებს, დაბაში ფართოდ არის გაჩაღებული ინდივიდუალური სამინაო მშენებლობა.

კინო-საკონცერტო დარბაზი

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ორსართულიანი კინო-საკონცერტო დარბაზის მშენებლობა, რომელიც სამ მილიონ მანეთამდე დაჯდება. მშენებლობა დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავისათვის უნდა დამთავრდეს. ახალ შენობას ექნება მაყურებელთა 600-ადგილიანი დარბაზი, თვითმოქმედი კოლექტივების სამუშაო ოთახები, კინოდანადგარი, ლამაზად გაფორმებული რამდენიმე ფოიე.

სკვერი დაბის ცენტრში

დაბის ცენტრში, მე-14 საშუალო სკოლის წინ დაიწყო სამუშაოები ახალი სკვერის გასაშენებლად. ამჟამად მიმდინარეობს ტერიტორიის შემოღობვა 5 ათას კვადრატულ მეტრზე. ახალ სკვერში დაირგვება დეკორაციული მცენარეები, მოეწყობა გაზონები და ყვავილნარები.

კვალიფიციური კადრების სამჭედლოს.

ავტომობილმშენებელთა დაბაში ქუთაისის № 2 ტექნიკური სასწავლებელი, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ კვალიფიციური კადრების სამჭედლოს. აქ ამზადებენ მომავალ ავტომობილმშენებლებს — ხარატებს, ზეინკლებს, ელექტროდანადგართა მემონტაჟეებს, დურგლებს. გასული წლის ბოლოს სასწავლებელმა ქარხანას მოუმზადა 128 ავტომობილმშენებელი. ამჟამად აქ სხვადასხვა პროფესიას ეუფლება საშუალო სკოლის კურსდამთავრებული 200-ზე მეტი ჯაბუკი და ქალიშვილი. ტექნიკურ სასწავლებელს კეთილმოწყობილი სახელოსნოები, კაბინეტ-ლაბორატორიები და მდიდარი ტექნიკური ბიბლიოთეკა აქვს.

შ. ჯავახაძე.

* * *

სურათზე: ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშათა დაბა.

ფოტო დ. კაკიტელაშვილისა.

დავაჩქაროთ გაზიფიკაციის სამუშაოები

პარტიის XX ყრილობის დირექტივებით, როგორც ცნობილია, შეეძლვე ხუთწლედში დაწყებულ უნდა იქნას გროზნო-თბილისის გზსადენის მშენებლობა თბილისის მოსახლეობისათვის სტავროპოლის ბუნებრივი გზის მისაწოდებლად. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიება ერთხელ კიდევ ცხადყოფს იმ შეუნელებელ მზრუნველობას, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენენ ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მოკავშირე რესპუბლიკების, კერძოდ ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის.

თბილისისათვის გაზსადენის გამოყვანით, გაზსადენის ტრასზე მდებარე ქალაქების გაზიფიკაციის განხორციელებით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა ბევრს მოიგებს. დაიზოგება ქვანახშირი და შეშა, რომელსაც ახლა მარტო თბილისი დიდი რაოდენობით ნთქამს, გაუმჯობესდება ქალაქის სანიტარული მდგომარეობა, ჰაერი გაიწმინდება ჭვარტლისა და ბოლისაგან.

თბილისში გაზსადენის ქსელის მოსაწყობად უკვე დაწყებულია დიდი მუშაობა. წელს უკრაინის საპროექტო ინსტიტუტმა „უკრკომუნენერგოპროექტმა" უნდა დაამთავროს საპროექტო მოცემულობათა შედგენა, რის შემდეგ თბილისის „ქალაქპროექტი" შეუდგება სამუშაო პროექტების დამუშავებას.

სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით საჭიროა სანამ სტავროპოლის გაზი ჯერ კიდევ არა გვაქვს, ხელი მოვკიდოთ ხელოვნური გაზის ყოფაცხოვრებაში გამოყენების საქმეს, რათა ნაწილობრივ მაინც დავაკმაყოფილოთ არსებული მოთხოვნილება. ხელოვნური გაზის ერთ-ერთ სახეობას, როგორც ცნობილია, წარმოადგენს თხევადი გაზი, რომელიც შედგება ნახშირწყალბადებისაგან, უმთავრესად ე. წ. პროპან-ბუთანის შენაერთებისაგან.

თხევადი გაზის მისაღები ძირითადი ნედლეულია ნავთობი. ნავთობის ტექნოლოგიური გადამუშავების შედეგად მიღებული მშრალი გაზი ჩვეულებრივ ტემპერატურულ პირობებში სათანადო წნევის გავლენით თხევად მდგომარეობაში გადადის. თხევადი გაზის მიღების შესაძლებლობა კი რესპუბლიკაში დიდია.

თხევადი გაზი ადვილად გამოსაყენებელია. მას ასხამენ ფოლადის ბალონებში, თითო ბალონში თავსდება 40-50 ლიტრი (15-25 კილოგრამი). ბალონები შეიძლება ჩამოვარიგოთ საცხოვრებელ სახლებში საერთო ან ინდივიდუალური სარგებლობისათვის. ერთი ბალონი ერთ ბინას, სადაც ერთი გაზქურაა გამართული, ეყოფა დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში. საერთო სარგებლობის დროს შეიძლება ბალონების მოთავსება სპეციალურ სათავსში, საიდანაც გაზი ბინებს შორის განაწილდება.

თხევადი გაზის ტრანსპორტაბელურობა ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ განვახორციელოთ მთელ რიგ დიდ დასახლებათა (ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშათა საცხოვრებელი უბნის, საქართველოს ჩაის ფაბრიკების და ა. შ.) გაზიფიკაცია.

ამ ცოტა ხნის წინათ რესპუბლიკის გაზიფიკაციის გასაფართოებლად საქართველოს მთავრობამ მიიღო სპეციალური დადგენილება, რომლის მიხედვით გათვალისწინებულია მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელება: ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადამუშავებელ ქარხანაში სათანადო სამუშაოების შესრულება იმისათვის, რომ იქიდან მზარდი რაოდენობით მიეღოთ თხევადი გაზი, გათვალისწინებულია აგრეთვე თხევადი გაზის გადასასხმელი სადგურების მოწყობა თბილისსა და ბათუმში; ნორიოს ნავთობსაბადოს ბუნებრივი გაზის შეკრებისა და მისი თბილისში ტრანსპორტირების პროექტის შედგენა; თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან სპეციალური ორგანიზაციის — „თბილისგაზის" ჩამოყალიბება.

ნორიო-თბილისის გაზსადენის პროექტის შედგენა დავალებული აქვს „თბილქალაქპროექტს", რომელმაც ეს სამუშაო უახლოეს თვეებში უნდა დამთავროს, ხოლო გაზგადასასხმელი სადგურების მშენებლობა დაეკისრათ სათანადო საქალაქო საბჭოების აღმასკომებს.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ქალაქებისა და დაბების გაზიფიკაციისათვის რესპუბლიკაში შესანიშნავი პერსპექტივები გვაქვს. გარდა დასახელებული რეზერვებისა (სტავროპოლის ბუნებრივი გაზი, ბათუმის თხევადი გაზი, ნორიოს ნავთობის გაზი) ჩვენში არის იმის დიდი შესაძლებლობა, რომ მივიღოთ ტყიბულის ნახშირფიქალის გაზი. ყოველივე ეს სავსებით საკმარისი იქნება რესპუბლიკის დიდი ინდუსტრიული ქალაქებისა და მთელი რიგი კურორტების გაზიფიკაციის განსახორციელებლად, აგრეთვე მუშათა საცხოვრებელი დაბების მოსამარაგებლად.

ახლა საჭიროა არ ველოდოთ გაზიფიკაციისათვის საჭირო ყველა რეზერვის გამოვლინებას, არამედ დაუყოვნებლივ შეუდგეთ მუშაობას იმ რეზერვების გამოყენებისათვის, რაც გვაქვს, რაც უკვე გამოვლინებულია.

ბათუმში უკვე დაწყებულია მუშაობა თხევადი გაზის გამოყენებისათვის და არის იმედი, რომ სულ ახლო მომავალში იქ გაზის მრავალი ქურა აინთება. თბილისში სათანადო მუშაობის დაჩქარებით, დედაქალაქის ახლოს არსებული ისეთი მაღალხარისხოვანი რეზერვის გამოყენებით, როგორიც არის ნორიოს ნავთობსაბადოს გაზი, დიდ სარგებლობას მოვუტანთ მთელი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას.

ინჟ. შ. ხეჩინაშვილი,
თბილქალაქპროექტის თბოფიკაციისა და გაზიფიკაციის პროექტირების სექტორის უფროსი.

სოფლის კეთილმოწყობის მოუგვარებელი საკითხები

ლანჩხუთის რაიონში ერთ-ერთი დიდი სოფელია სუფსა, რომლის ტერიტორიაზე 1.140-მდე კომლი ცხოვრობს. საკოლმეურნეო წყობილებამ სუფსის მშრომელებს შეძლებული, ბედნიერი ცხოვრება დაუმკვიდრა. აქ იშვიათად ნახავთ ისეთ ოჯახს, რომელსაც კოხტა ორსართულიანი ოდასახლი არ ედგას.

მიუხედავად ამისა, სოფლის კეთილმოწყობის მხრივ კვლავ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. სოფელს დღემდე არა აქვს სასმელი წყალი, სასმელად მდინარე სუფსის მღვრიე და უვარგის წყალს იყენებენ.

რამდენიმე წელიწადია ჭიანურდება სოფლის კლუბის მშენებლობა. როგორც იქნა შენობა გადახურეს, რამდენიმე ოთახიც გააწყეს, მაგრამ კლუბის კეთილმოწყობის სამუშაოები დღემდე დაუმთავრებელია.

დიდი ხანია დააპროექტეს სოფლის ელექტროფიკაციის სამუშაოები, მაგრამ პროექტი, სამწუხაროდ, ქაღალდზე დარჩა. მის განხორციელებაზე არავინ ფიქრობს. ჭიანურდება აგრეთვე სოფლის ცენტრალური გზის შეკეთება და კეთილმოწყობა, რაც დავალებული აქვს ფოთის საგზაო უბანს.

სოფლის ტერიტორიაზე ორი მძლავრი კოლმეურნეობაა, რომლებსაც შეუძლებლობა აქვთ საკმაო თანხები გაიღონ სოფლის კეთილმოწყობისათვის, მაგრამ ამ საშუალებებს ისინი არ იყენებენ. შეუწყნარებელ უდარდელობას იჩენს ამ მხრივ სასოფლო საბჭოც.

გ. მურადაშვილი,
სუფსის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს დეპუტატი.

გულისხმიერმა ექიმებმა სიცოცხლე შემინარჩუნეს

შარშან 28 სექტემბერს მარცხში მოვყევი. მივიღე სერიოზული ტრავმატული დაზიანება: მძიმედ დამიშავდა მხარი და თავის ქალა.

ამავე დღეს სასწრაფო დახმარების საავადმყოფოში მომიყვანეს ქალის ქუჩაზე. მაგრამ მორიგე ქირურგი ჩემს მკურნალობას უპასუხისმგებლოდ მოეკიდა, რასაც შედეგად მოჰყვა ჩემი ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება, დამეწყო ჩირქოვანი მენინგიტი, მძიმე კრუნჩხვები და დავკარგე გონება.

1 ოქტომბერს ასეთ მძიმე მდგომარეობაში გადამიყვანეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში და დამაწვინეს ნერვულ განყოფილებაში, რომელსაც პროფესორი პ. სარაჯიშვილი ხელმძღვანელობს.

მეტად სერიოზული, თითქმის უიმედო იყო ჩემი მდგომარეობა, მაგრამ განყოფილების ექიმების გულისხმიერმა დამოკიდებულებამ, გონივრულმა მკურნალობამ და შეუნელებელმა მზრუნველობამ სიცოცხლე შემინარჩუნეს. თანდათან გამოვჯანსაღდი, ახლა თავს კარგად ვგრძნობ, დამიბრუნდა ძველებური ენერგია და მუშაობას შევუდექი.

ამ წერილით მინდა გულითადი მადლობა გამოვთქვა ქალაქის პირველი საავადმყოფოს ნერვული განყოფილების მთელი კოლექტივისადმი, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მკურნალი ექიმის ე. შაინიანის, დოცენტ თ. ღლონტის, ქირურგ ი. ქურციმვილის და უროლოგ კ. ღოღელიანის გულისხმიერი დამოკიდებულება და მზრუნველობა ავადმყოფებისადმი.

მ. ბალაიანი.

მივხედოთ მივიწყებულ ქუჩებს

სწრაფი ტემპით იზრდება თბილისის ლენინის რაიონი, შენდება ახალი საცხოვრებელი უბნები, მაგრამ მათი კეთილმოწყობისათვის ნაკლებად ზრუნავენ. ჩარგალის, ბოგვის, ყინვალის, ჭოპორტის, მუხრანის, რატევანის, პროექტის პირველი და მეორე ქუჩები მოუწყობელია. ამ ქუჩებზე არსებულ სახლებს არა აქვთ კანალიზაცია, ეზოებში ვერ ნახავთ სანაგვე ყუთებს. ყოველივე ეს ანტისანიტარიას უწყობს ხელს.

ბოგვის, ჩარგალის, პროექტის პირველი და მეორე ქუჩების მცხოვრებლები შეფერხებებით იღებენ აგრეთვე სასმელ წყალს, რასაც წყალსადენის მილების ხშირი დაზიანება იწვევს.

რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ რაიონის მცხოვრებთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეს.

ვ. გოგაძე, ი. დათაშვილი,
ა. ტაბიძე.

შემოქმედებითი ურთიერთობის შედეგი

თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ფიზიკის კათედრამ, როგორც ცნობილია, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშაკებთან ერთად ამ რამდენიმე ხნის წინათ დაამუშავა ხარატ-უნივერსალის ორიგინალური კონსტრუქციის საიარაღო კარადა და გამართა იგი ამ კონსტრუქციის ერთ-ერთი თანაავტორის — ჩქაროსანი ხარატის ილია ჭუმბურიძის სამუშაო ადგილზე.

ინსტიტუტის დირექციამ მიზნად დაისახა ეს წამოწყება გაევრცელებინა ჩვენი ქვეყნის სხვა საწარმოებშიც და საიარაღო კარადის კონსტრუქციის ერთ-ერთი თანაავტორი, ფიზიკის ლაბორატორიის გამგე კ. ლიუბარსკი გაგზავნა სამეცნიერო-საწარმოო მივლინებაში მოსკოვისა და ლენინგრადის მოწინავე მანქანათმშენებელ ქარხნებსა და სამეცნიერო ორგანიზაციებში, ქარხნების მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკოსებს იგი აცნობდა ჩვენი ინსტიტუტის ფიზიკის კათედრისა და ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშაკთა გამოცდილებას. საუბრებისა და ლექციების დროს იგი უჩვენებდა საიარაღო კარადის თავის მიერ დამზადებულ მაკეტს, რომელიც ნატურალური ზომის ერთი მესამედიჯ.

რესპუბლიკიდან გამგზავრებამდე ამხ. ლიუბარსკიმ ასეთივე მოხსენებები გააკეთა ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში.

ამხ. ლიუბარსკის გამოსვლებმა წარმატებით ჩაიარა. მას აქვს წერილობითი გამოხმაურებები, რომლებიც მოწმობს, რომ ჩვენი ქვეყნის მოწინავე საწარმოთა მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები სერიოზულად არიან დაინტერესებული მუშათა შრომის სწორი ორგანიზაციით, კერძოდ, სამუშაო ადგილებზე უახლესი კონსტრუქციების სამარჯვეთა გამოყენებით.

მოსკოვის ს. ორჯონიკიძის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მთავარ ინჟინერთან მოწვეულ სპეციალურ თათბირზე, რომელზეც ამხ. ლიუბარსკის მოხსენება იქნა მოსმენილი, გამოითქვა სურვილი შეიქმნას საიარაღო კარადის კონსტრუქციის ანალოგიური კარადები სხვა პროფესიის მუშებისთვისაც (მღარავები, მბურღავები და ა. შ.). ამ ქარხნიდან მიღებულ გამოხმაურებაში ნათქვამია, რომ საიარაღო კარადების საკუთარი კონსტრუქციების დამუშავების დროს ქარხანა გამოიყენებს ორ ძირითად, პრინციპული ხასიათის სიახლეს, რომლებიც შეტანილია ამხ. ლიუბარსკის მიერ ნაჩვენებ საიარაღო კარადის მაკეტში, სახელდობრ, კარადის კარსა და კედლებზე იარაღების ვერტიკალურად დაკიდებულ განლაგებას და



ხარატის საინსტრუმენტო კარადის კონსტრუქციის ერთ-ერთი თანაავტორი კ. ლიუბარსკი კარადის მაკეტთან.

ფოტო ი. ჭილდენდარფისა.

მბრუნავ თაროებს საჭირსებისათვის.

ლიუბარსკის ყოფნა ქუთაისში, მოსკოვსა და ლენინგრადში გვიჩვენებს, რომ ცოცხალი ურთიერთობა დასრულებულ ღონისძიებათა დანერგვის საუკეთესო საშუალებაა.

საჭიროა თბილისის საწარმოთა ხელმძღვანელებმა თავიანთ ქარხნებში დააჩქაროონ ასეთი ან სხვა სახის კარადების დანერგვა.

დოც. ა. ავაქოვი,
თბილისის ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის გამგე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესია

სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 26 თებერვალი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, გუშინ სპეციალური პოლიტიკური კომიტეტი შეუდგა იმ საკითხის განხილვას, რომელიც საბჭოთა კავშირმა შეიტანა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საშინაო საქმეებში შეერთებული შტატების ჩარევისა და ამ სახელმწიფოთა წინააღმდეგ მათი მტრული ძირგამომთხრელი საქმიანობის შესახებ.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ვ. ვ. კუზნეცოვმა.

ვ. ვ. კუზნეცოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევა სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში წარმოადგენს საფრთხეს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის. მან აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამ საკითხის დასმისას სსრ კავშირი ხელმძღვანელობს მისწრაფებით თავიდან აიცილოს სახელმწიფოთა ურთიერთობაში ის გარემოებანი, რომლებიც ხელს უშლიან მათს ნორმალურ თანამშრომლობას, და ამით ხელი შეუწყოს საერთაშორისო ურთიერთობის გაჯანსაღებას და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. სსრ კავშირის წარმომადგენელმა მრავალი ფაქტით ცხადყო, რომ ძირგამომთხრელი საქმიანობა სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია.

ვ. ვ. კუზნეცოვმა მოიყვანა აგრეთვე ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ძირგამომთხრელი საქმიანობა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, რაც ფართო მასშტაბით ხორციელდება, უფრო გაძლიერდა უკანასკნელ ხანს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, თქვა კუზნეცოვმა, რომლის მოვალეობას წარმოადგენს ხელი შეუწყოს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფას, წესრიგისაკენ უნდა მოუწოდოს მისი წესდებისა და საერთაშორისო სამართლის დამრღვევთ, რომლებიც თავიანთი მოქმედებით საფრთხეს უქმნიან საყოველთაო მშვიდობის საქმეს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვალია დაგმოს ამერიკის შეერთებული შტატების ძირგამომთხრელი საქმიანობა სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგ და მოუწოდოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას თავისი ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან ააგოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების ზუსტი შესაბამისობით.

ეყრდნობა რა ყოველივე ამას, სსრ კავშირის დელეგაციამ კომიტეტის განსახილველად შეიტანა რეზოლუციის შემდეგი პროექტი:

„გენერალური ასამბლეა,

შეშფოთებით აღნიშნავს რა, რომ უკანასკნელ ხანს კვლავ მოხდა საერთაშორისო კითარების გამწვავება და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გაუარესება,

აღნიშნავს რა, რომ ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზია ამერიკის შეერთებული შტატების ძირგამომთხრელი საქმიანობა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევა,

ითვალისწინებს რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი-სახელმწიფოებისაგან მოითხოვს „გამოიჩინონ შემწყნარებლობა და სხვა ქვეყნებთან იცხოვრონ მშვიდობით, როგორც კარგმა მეზობლებმა“,

მოაგონებს რა, რომ 1947 წლის 3 ნოემბრის 110 რეზოლუციით გენერალური ასამბლეა გმობს ყოველ ქვეყანაში ყოველი ფორმით წარმოებულ პროპაგანდას, რომლის მიზანია ან რომელსაც შეუძლია შექმნას ან გააძლიეროს საფრთხე მშვიდობისათვის,

იღებს რა აგრეთვე მხედველობაში, რომ გენერალურმა ასამბლეამ 1954 წლის 17 დეკემბერს ურჩია წევრ-სახელმწიფოებს 1936 წლის საერთაშორისო კონვენცია მშვიდობის ინტერესებისათვის რადიომაუწყებლობის გამოყენების შესახებ, რომლითაც ხელშეკრულების დამდები მხარეები „ურთიერთ კისრულობენ აკრძალონ და, თუ ასეთი არსებობს, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ თავიანთ შესაბამის ტერიტორიებზე ყოველგვარი რადიომაუწყებლობა, რომელსაც საერთაშორისო კარგი თანხმობის საზიანოდ შეუძლია რომელიმე ერთი ტერიტორიის მოსახლეობა წაიქეზოს მოქმედებისათვის, რაც მიმართულია ხელშეკრულების დამდები მეორე მაღალი მხარის საშინაო წესრიგის ან ტერიტორიის უშიშროების წინააღმდეგ“,

1. გმობს ამერიკის შეერთებული შტატების ძირგამომთხრელ საქმიანობას სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგ, როგორც ისეთს, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და არ შეესაბამება პრინციპებს, რომლებზეც უნდა შენდებოდეს სახელმწიფოთა ურთიერთობა;

2. მოუწოდებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შეწყვიტოს ძირგამომთხრელი საქმიანობა სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგ და ჩარევა მათს საშინაო საქმეებში, რა საბაბითაც უნდა იყოს, და თავისი ურთიერთობა მათთან ააგოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების შესაბამისად“.

დასასრულ ვ. ვ. კუზნეცოვმა მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებს მხარი დაუჭირონ ამ რეზოლუციას. ამ დიდმნიშვნელოვანი საკითხის ყოველმხრივი განხილვა და სწორი გადაჭრა, თქვა მან, უეჭველად შეუწყობს ხელს საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა შორის ნორმალური კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას.

სსრ კავშირის წარმომადგენლის სიტყვის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის სახელით გამოვიდა სენატორი ნოულენდი. ნოულენდმა წინასწარ განაცხადა, რომ განზრახული აქვს დასჯერდეს მოკლე შენიშვნებს და უფლებას იტოვებს უფრო გვიან გამოვიდეს. მან უარყო ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებანი, თუმცა არ შეხებია კონკრეტულ ფაქტებს, რომლებიც მოყვანილი იყო საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურის სიტყვაში.

ამტკიცებდა რა, რომ ბრალდებანი ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ „სენსაციური“ და „პროპაგანდისტული“ ხასიათისაა, ნოულენდმა აღიარა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს სურთ „ევროპაში სხვა პირობები“ შეიქმნას. ამავე დროს მან მოიყვანა ციტატები პრეზიდენტ ეიზენჰაუერისა და სახელმწიფო მდივნის დალესის მთელი რიგი განცხადებებიდან იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები თითქოს არ ისახავდნენ აგრესიულ მიზნებს და არ ეწეოდნენ აშკარა მტრულ საქმიანობას სოციალისტური ბანაკის ქვეყნების სახალხო-დემოკრატიული წყობილებისათვის ძირის გამოსათხრელად.

უხეშად დაამახინჯა რა ფაქტები და ცდილობდა რა დაეცვა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ორგანოები, ნოულენდმა სცადა საბჭოთა კავშირისათვის დაეკისრებინა პასუხისმგებლობა საერთაშორისო ვითარების გამწვავებისათვის. მან უარყო ამერიკის შეერთებული შტატების წამყვანი როლი უნგრეთის კონტრრევოლუციური პუტჩის გამოწვევასა და მოწყობაში.

გამოავლინა რა თავისი უკიდურესი მტრობა სოციალისტური ბანაკისადმი, ნოულენდმა სრულიად მოურიდებლად დასწამა ცილი საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს.

დასასრულ ნოულენდმა მოუწოდა სხდომას არ მიიღოს რაიმე რეზოლუცია განსახილველ საკითხზე.

ნოულენდის სიტყვით დამთავრდა კომიტეტის დილის სხდომა.

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 26 თებერვალი. (საკდესი). პოლიტიკურ კომიტეტში გუშინ გრძელდებოდა დისკუსია დასავლეთ ირიანის საკითხზე.

ავსტრალიის წარმომადგენელმა სპენდერმა თავისა გამოსვლა მიუძღვნა ჰოლანდიის პოზიციის დაცვას. ინდონეზიის სამართლიან მოთხოვნებს, რომ დასავლეთი ირიანი მას ეკუთვნის, ავსტრალიის დელეგატმა უწოდა... „მსოფლიოს ტერიტორიული გადაკეთების“ ცდა.

უპასუხა რა სპენდერს, ცეილონის წარმომადგენელმა გუნევარდენემ ცხადყო მის მტკიცებათა მთელი აბსურდულობა. მან გაიხსენა, რომ ბანდუნგის კონფერენციამ ერთსულოვნად აღიარა, რომ ინდონეზიის მოთხოვნები დასავლეთ ირიანის მიმართ კანონიერი და სავსებით დასაბუთებულია. ჯერ კიდევ ჰოლანდიის მიერ ინდონეზიის არქიპელაგის დაპყრობამდე დიდი ხნით ადრე, თქვა გუნევარდენემ, დასავლეთი ირიანი აღმოსავლეთ ინდონეზიის ნაწილი იყო. მტკიცება, რომ პაპუას ხალხი სხვა ეთნიკურ ჯგუფს ეკუთვნის, ვიდრე დანარჩენი ეროვნებანი, რომლებიც ამ არქიპელაგზე მოსახლეობენ, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. პაპუას ხალხს იგივე კულტურა, იგივე ხელოვნება აქვს და იგი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მოწყვეტილ იქნას 17 სხვა ეთნიკური ჯგუფისაგან, რომლებიც ინდონეზიის არქიპელაგზე მოსახლეობენ.

ცეილონის დელეგატმა ილაპარაკა დასავლეთ ირიანში ცხოვრების უკიდურესად მძიმე პირობებზე. ჰოლანდიის პარლამენტის კომისია, აგრეთვე ავსტრალიის უმაღლესი კომისრის მისია იძულებული იყვნენ ამას წინათ ეღიარებინათ ეს ფაქტი. მათი ანგარიშებიდან ცნობილი გახდა, მაგალითად, რომ ჰოლანდია არც ერთ ცენტს არ ხარჯავს დასავლეთ ირიანის ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებისათვის. ამ ტერიტორიის მოსახლეობა შიმშილობს, იტანჯება მრავალი ავადმყოფობით და სხვ.

13 ქვეყნის (ბირმის, ბოლივიის, ინდოეთის, ერაყის, კოსტა-რიკის, პაკისტანის, საუდის არაბეთის, სირიის, სუდანის, ცეილონის, ეკვადორის, ეთიოპიის, იუგოსლავიის) სახელით გუნევარდენემ შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელიც ავალებს გენერალური ასამბლეის თავმჯდომარეს დანიშნოს კეთილი სამსახურის კომისია, რათა ხელი შეუწყოს ინდონეზიისა და ჰოლანდიის მთავრობათა მოლაპარაკებას, რომ მიღწეულ იქნას ამ საკითხის სამართლიანი და მშვიდობიანი გადაჭრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებისა და მიზნების შესაბამისად. კეთილი სამსახურის კომისიას წინადადება ეძლევა წარუდგინოს მოხსენება გენერალურ ასამბლეას მის შემდეგ სესიაზე.

ბირმის წარმომადგენელმა უ პე კინმა განაცხადა, რომ გენერალურმა ასამბლეამ თავისი წესი ალი უნდა შეიტანოს დასავლეთ ირიანის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებაში. მან გააკრიტიკა ჰოლანდიის მთავრობის უარი განგრძოს მოლაპარაკება ინდონეზიასთან დასავლეთ ირიანის შესახებ დავის გადასაჭრელად.

ბირმის დელეგატმა მხარი დაუჭირა 13 ქვეყნის რეზოლუციის პროექტს, რომელიც შეტანილია კომიტეტის განსახილველად.

რეზოლუციის პროექტს მხარი დაუჭირეს აგრეთვე კოსტა-რიკის, სალვადორის, ჩილის, ბოლივიისა და იუგოსლავიის წარმომადგენლებმა.

სხდომაზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი გ. ნ. ზარუბინი, რომელმაც აღნიშნა დიდი მნიშვნელობა დასავლეთ ირიანის საკითხისა, რომელიც ასამბლეის განსახილველად შეიტანა აზიისა და აფრიკის ქვეყნების უმრავლესობამ. აღნიშნა რა, რომ ეს საკითხი გადაუჭრელი რჩება მრავალი წლის მანძილზე, და კვლავ არახელსაყრელ გავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობაზე, სსრ კავშირის დელეგატმა განაცხადა, რომ დასავლეთ ირიანის საკითხის გადაჭრის შემდგომ დაყოვნებას შეუძლია გამოიწვიოს პოლიტიკური ვითარების გაუარესება, არასასურველი გართულებანი დაინტერესებულ სახელმწიფოთა ურთიერთობაში. ამიტომ მშვიდობისა და სამართლიანობის ინტერესებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მხარი უნდა დაუჭიროს ინდონეზიის რესპუბლიკის მისწრაფებას მიაღწიოს ამ საკითხის მშვიდობიან გადაჭრას.

შეეხო რა დასავლეთ ირიანის საკითხის ისტორიას, გ. ნ. ზარუბინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კოლონიური სახელმწიფოები ცდილობენ უგულებელყონ საზოგადოებრივი განვითარების პროცესი, რომელსაც ამ ბოლო დროს ახასიათებს აზიისა და აფრიკის ხალხების ფართო და მასობრივი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. კოლონიურ სახელმწიფოებს არა სურთ შეურიგდნენ კოლონიური წესების ნგრევას და ჯიუტად ცდილობენ დაიცვან თავიანთი დაკარგული პოზიციები. მაგრამ აღმოსავლეთის სულ უფრო მეტი ხალხი გამოდის თავისუფალი განვითარების ფართო გზაზე.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების ინტერესებისათვის ანგარიშის გაუწევლობა; რომელთა მოსახლეობა დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენს, განაგრძო საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა, ახლანდელ პირობებში არა მარტო უსამართლოა, არამედ საშიშიც არის. არ შეიძლება გვერდი აუვლართ მზარდ სოლიდარობას, რომლითაც ამჟამად აღმოსავლეთის ქვეყნები გამოდიან თავიანთ უფლებათა დაცვისა და ბოლოს ეს ინგლისი განიცდის სუეცის ავანტიურის შემდეგ. აი ამიტომ, როგორც პრესა აღნიშნავს, პენსიონერთა დიდი უმრავლესობა სიღატაკის პირზეა.

მთავრობის სახელით გამოვიდა პენსიებისა და სოციალური დაზღვევის სამინისტროს საპარლამენტო მდივანი პიტი. მან აზრი გამოთქვა პენსიების ყოველგვარი გადიდების წინააღმდეგ, რადგან ეს ხაზინას „მეტად ძვირად“ დაუჯდებაო.

ლეიბორისტების რეზოლუცია პალატამ უარყო 306 ხმით 252 ხმის წინააღმდეგ.

ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 26 თებერვალი. (საკდესი). გუშინ ინგლისის თემთა პალატაში გაიმართა კამათი ლეიბორისტული ოპოზიციის მიერ შეტანილი რეზოლუციის გამო, რომელიც მოითხოვს დაუყოვნებლივ გადიდდეს პენსიების ოდენობა. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ინგლისელ პენსიონერებში ძლიერდება უკმაყოფილება მოხუცებულობის პენსიის მეტად მცირე ოდენობის გამო. პენსიონერები კვირაში სულ 2 გირვანქა სტერლინგს იღებენ, რაც არაკვალიფიციური მუშის ხელფასის მესამედზე ნაკლებია. ამავე დროს პირველი საჭიროების საქონლის ფასები განუწყვეტლივ მატულობს, განსაკუთრებით ეკონომიური სიძნელეების გამო, რომელებაც ინგლისი განიცდის სუეცის ავანტიურის შემდეგ. აი ამიტომ, როგორც პრესა აღნიშნავს, პენსიონერთა დიდი უმრავლესობა სიღატაკის პირზეა.

მთავრობის სახელით გამოვიდა პენსიებისა და სოციალური დაზღვევის სამინისტროს საპარლამენტო მდივანი პიტი. მან აზრი გამოთქვა პენსიების ყოველგვარი გადიდების წინააღმდეგ, რადგან ეს ხაზინას „მეტად ძვირად“ დაუჯდებაო.

ლეიბორისტების რეზოლუცია პალატამ უარყო 306 ხმით 252 ხმის წინააღმდეგ.

პოლონეთის სეიმის სესია

ვარშავა, 27 თებერვალი. (საკდესი). გუშინ აქ მუშაობა განაახლა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის პირველმა სესიამ.

სამანდატო კომისიის ანგარიშის დამტკიცების შემდეგ სეიმმა მოისმინა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ცირანკევიჩის განცხადება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის პროგრამისა და შემადგენლობის შესახებ.

სეიმი შემდეგ სხდომაზე განიხილავს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის პროგრამასა და შემადგენლობას.

არაბთა ოთხი სახელმწიფოს მეთაურების თათბირზე

კაირო, 26 თებერვალი. (საკდესი). არაბთა ოთხი სახელმწიფოს — ეგვიპტის, სირიის, საუდის არაბეთისა და იორდანიის — მეთაურების თათბირის მონაწილენი დღეს შეიკრიბნენ მეორე სხდომაზე. როგორც „ალ-აჰრამი“ იუწყება, განიხილავენ ორ ძირითად საკითხს: არაბთა ქვეყნების დამოკიდებულება „ეიზენჰაუერის დოქტრინისადმი“ და მათი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ისრაელი უარს ამბობს გაიყვანოს თავისი ჯარები ეგვიპტის ტერიტორიიდან. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არაბთა სახელმწიფოების მეთაურების პირველმა შეხვედრამ ცხადყო სრული ერთიანობა თათბირის მონაწილეთა შეხედულებებისა განსახილველ საკითხებზე.

გაზეთის ცნობით, თათბირის გადაწყვეტილებათა მოსამზადებლად შექმნილია სპეციალური კომიტეტი თათბირის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეთა შემადგენლობით.

გაზეთი „ალ-აჰრამი“ არაბთა ოთხი სახელმწიფოს მეთაურთა კაიროს თათბირის შესახებ

კაირო, 27 თებერვალი. (საკდესი). კომენტარს უკეთებს რა არაბთა ოთხი სახელმწიფოს მეთაურთა კაიროს თათბირის მუშაობას, გაზეთი „ალ-აჰრამი“ წერს, რომ სხდომაზე, აგრეთვე სახელმწიფოთა მეთაურების არაოფიციალური შეხვედრების დროს განხილულ იქნა ძირითადი საკითხები და პრობლემები, რომლებიც არაბი ხალხების ინტერესებს ეხება.

გაზეთი აღნიშნავს, რომ თათბირის მონაწილეებმა განიხილეს არაბთა სახელმწიფოების დამოკიდებულება „ეიზენჰაუერის დოქტრინისადმი“, მათი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ გრძელდება ისრაელის მიერ ღაზისა და შარმ აშ-შეიხის რაიონების ოკუპაცია და არის ცდები მოახდინონ აქაბის ყურის „ინტერნაციონალიზაცია“. არაბთა სახელმწიფოების მეთაურებმა განიხილეს აგრეთვე ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნების მდგომარეობა და, კერძოდ, ალჟირის საკითხი, განიხილეს მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთში, აგრეთვე გაუზიარეს ერთმანეთს აზრები სუეცის არხის საკითხზე.

ლიტერატურული საღამო

ჰიათურა. (საკ. კორ.) გაზეთ „ჰიათურის მაღაროელის“ რედაქციამ მეორე წელია თავის ირგვლივ შემოიკრიბა დამწყები ლიტერატორები და მათი შემოქმედების ნაწილს გაზეთის ფურცლებზე ბეჭდავს.

ამ დღეებში ა. წერეთელის სახელობის სახელმწიფო თეატრში მოეწყო რედაქციასთან არსებული ლიტერატურული წრის წევრთა — ახალგაზრდა დამწყებ ლიტერატორთა შეხვედრა მარგანეცის ქალაქის ახალგაზრდობასთან. ლიტერატურული წრის წევრთა შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ნ. წერეთელი.

საღამოზე საკუთარი ლექსები წაიკითხეს ახალგაზრდა დამწყებმა პოეტებმა თ. გურჯიძემ, გ. წერეთელმა, ე. ჯიშკარიანმა, გ. დეკანოიძემ, ო. ცარციძემ, ა. კაპანაძემ, ს. არსენიძემ. საკუთარი მოთხრობის ნაწყვეტი წაიკითხა ლ. დეკანოსიძემ.

საღამოს მეორე განყოფილებაში ჰიათურის თეატრის კოლექტივმა დამსწრეთ უჩვენა ერთი სურათი ადგილობრივი დრამატურგის ნ. წერეთელის პიესიდან „წიაღის გულში“, ხოლო სტალინის სახელობის მაღაროს თვითმოქმედმა დრამატულმა წრემ — ლიტერატურული წრის წევრის გ. მოდებაძის პიესის „მცდარი ნაბიჯის“ ერთი სურათი.

მხატვრულ განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ქალაქის კულტურის სახლის ქორეოგრაფიულმა წრემ, საშუალო სკოლების მოსწავლეებმა, თეატრის მსახიობებმა.

ბათუმი. ზღვისპირა ქუჩა.

ფოტო ვ. ბაბაიანისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

უძლიერეს კალათბურთელთა ასპარეზობა

27 თებერვალს თბილისის ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში დაიწყო ჩვენი ქვეყნის უძლიერეს კალათბურთელ ქალთა კოლექტივების ასპარეზობა. ეს შეჯიბრება წარმოადგენს სსრ კავშირის პირველობის გათამაშების პირველი წრის მეორე ტურს. მასში მონაწილეობას იღებენ მოსკოვის „დინამოს“, კაუნასის „ჟალგირისის“, ლენინგრადის ელექტროტექნიკური ინსტიტუტის და ლენინგრადის, თბილისისა და დონის როსტოვის „ბურევესტნიკის“ გუნდები.

ასპარეზობის პირველ დღეს გაიმართა ორი შეხვედრა. პირველ მატჩში მონაწილეობდნენ კაუნასის „ჟალგირისისა“ და დონის როსტოვის „ბურევესტნიკის“ კალათბურთელები. შეჯიბრება მოიგეს კაუნასელებმა ანგარიშით 59:46.

დიდ ინტერესს იწვევდა საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონის მოსკოვის „დინამოსა“ და თბილისის „ბურევესტნიკის“ კალათბურთელთა შეხვედრა. დინამოელებმა წარმატებით ჩაატარეს ასპარეზობა და მოიგეს მატჩი ანგარიშით 57:51.

ავტოსატრანსპორტო კანტორა

ხაშური. (საკ. კორ.). ამ დღეებში ქალაქ ხაშურში შეიქმნა ავტოსატრანსპორტო კანტორა, რომელსაც გადაეცა მანქანების პირველი პარტია: ავტობუსები, ტაქსები და თვითმაცლელი მანქანები. კანტორას მალე თავის განკარგულებაში იქნება 50 სხვადასხვა სისტემის ავტომანქანა.

ავტოსატრანსპორტო კანტორა, გარდა ქ. ხაშურისა, მოემსახურება რაიონის შორეულ სოფლებსაც.

მეორე შეხვედრა

როგორც ვიუწყებოდით, ლენინგრადისა და საქართველოს კლასიკურ და თავისუფალ მოჭიდავეთა ნაკრები გუნდების პირველი შეხვედრა დამთავრდა ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა გამარჯვებით ანგარიშით 5:3, 6:2. ამ გუნდების მეორე მატჩი გაიმართა 27 თებერვალს. ამჯერად საქართველოდან გამოდიოდნენ რესპუბლიკის მეორე ნაკრები კოლექტივები.

კლასიკურ მოჭიდავეთა შეხვედრა კვლავ საქართველოს სპორტსმენთა უპირატესობით წარიმართა და მაოიეე გამარჯვებით (5:3) დამთავრდა, ხოლო დანარჩენ შეხვედრათა შედეგი ასეთი იყო: უმჩატეს წონაში ზაიაევმა სუფთა გამარჯვება მოიპოვა ეგაძესთან, არსენიძემ (საქართველო, მჩატე წონა) — ზამიატინთან, მარკოვიჩმა (ქვემსუბუქი წონა) — ზარქუასთან; გობეჯიშვილმა (საშუალო წონა) ქულებით მოუგო კამბაროვს, ალბულმა (ლენინგრადი, ქვემძიმე წონა) დაამარცხა თედეევი, ივანიცკიმ (მძიმე წონა) ქულებით მოუგო ბათლიძეს.

თავისუფალ მოჭიდავეთა მეორე შეხვედრა დამთავრდა ფრედ 4:4.

ძრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ვლადიმერ ივანეს-ძე ბაზიკინი დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად მექსიკაში.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ანატოლი გიორგის-ძე კულაუენკოვი გაათავისუფლა მექსიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

დღეს
თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — რიგოლეტო, **რუსთაველის სახელობის** — ახალგაზრდობის საკავშირო და მსოფლიო ფესტივალისადმი მიძღვნილი საღამო (7 ს. 30 წ.), **მარჯანიშვილის სახელობის** — ხეები კვდებიან ზეზეულად, **გრიბოედოვის სახელობის**—ხეები კვდებიან ზეზეულად, **სომხური დრამის** — სამველი, **მუსიკალური კომედიის** — რაც განხავს, ვეღარ ნახავ, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — გამომგონებლები (აბონემენტი № 36, 7 ს.), **თოჯინების ქართული** — ნუკრი (11 ს.), თოვლის პაპა (2 ს.), **ფილარმონია** — სომხეთის სახელმწიფო საესტრადო ორკესტრის კონცერტი (ძერჟინსკის სახელობის კლუბი, 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, სპარტაკი, პლეხანოვის სახელობის კლუბი — ლეილა და გაბორი, **ამირანი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი, თბილისი, საქართველო** (წითელი დარბაზი), **ისანი** — ისტორიის გაკვეთილი, **26 კომისრის სახელობის, კომკავშირელი, კიროვის სახელობის პარკი** — ჩვენი ეზო, **დიდუბე, ოფიცერთა სახლი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** — ქარიშხლის შემდეგ, **სარეწო კოოპერაციის კულტურის ცენტრალური სახლი** — ბავშვი კორჩაგინი, **კოლხიდა** — ენობკა და ანტონი, **კოლმეურნე** — ბაში-აჩუკი, **მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი** — ბედნიერებასთან შეხვედრა, **კომუნარების ბაღი**— ბირაჯ ბახუ, **საქართველო** (მწვანე დარბაზი) — გმირობა, **ქრონიკა** — ბუდაპეშტი; პროგრამის მთავარი ნომერი; პატარა ხომალდი; ღვეზელი.

დაიწყო ხელისმოწერა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ეურნალზე „Вопросы истории КПСС“. ეურნალში დაიბეჭდება სამეცნიერო სტატიები, ლექციები, მოხსენებები სკკპ, მოძმე კომუნისტური, მუშათა პარტიების, მუშათა საერთაშორისო მოძრაობის ისტორიიდან.

„სოიუზპეჩატი“

შვილები მირცა, ნათელა, სოსო, საშა, დემონ, ძმა ლავროსი, დები ოლია, ვერა, ელენე, რძლები ქსენია, ლუბა, ელენე, სიძე შოთა აზიკური ოჯახებით იუწყებიან

ილია გიგილოს-ძე კალანდაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-III სოფ. ხიდისთავში (ჩოხატაურის რ.).

შვილები დავით, სალომე, სოფიო, თამარ გამრეკელები, და ნინო ქავთარაძე ოჯახებით იუწყებიან

ანეტა ალექსანდრეს ასულ გამრეკელის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-III, 8 ს. გამოსვენება 3-III, 2 ს. შიო მღვიმელის ქ. № 7.

მეუღლე პარასკევა, შვილი ეანა, ძმები არსენ, ივანე, პეტრე, რძლები ფაცია, ქეთევან, მერი ხარჩილავები იუწყებიან

ბოგო მიხეილის-ძე ხარჩილავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-III, 5 ს. ოჩამჩირეში, გამოსვენება ბინიდან, ედანოვის ქ. № 8.

მეუღლე გიგო, დები სონა, მარო, ძმა ირაკლი, რძალი სირინოზ ელისაბედაშვილები ოჯახებით იუწყებიან

ნინო ივანეს ასულ იაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-III, 4 ს. სოფ. მეტეხში.

კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან

გრიგოლ ბესარიონის-ძე ნანიტაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-III სოფ. ბაზალეთში. (ორჯონიკიძის რ.).

მეუღლე ლოლა, შვილები რეზო, თამაზ, ნუგზარ, და ანეტა, ძმები ალფეს, კაპიტონ, რძლები ნათელა, ლატავრა შვილებით იუწყებიან

აკაკი სპირიდონის-ძე კუტალაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-III, 8 ს. გამოსვენება 3-III, 3 ს. თოფურიძის ქ. № 59.

მეუღლე მიხეილ ქობულიძე, ძმა გიორგი ნერუშენკო იუწყებიან

მარიამ ნიკოლოზის ასულ ნერუშენკო-ქობულიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-III, 8 ს. გამოსვენება 3-III, 3 ს. არაყიშვილის ქ. № 7.

მეუღლე ელისაბედ, შვილი ქეთევან, სიძე ა. მაჭავარიანი შვილით იუწყებიან ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის

კირილე ნესტორის-ძე პაჭკორიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-III, 8 ს. გამოსვენება 3-III, 4 ს. ვაჟა-ფშაველას ქ. № 25.

შვილები ნინო, ელენე, ეკატერინე, თამარ, არჩილ, რძალი მარიამ ოჯახებით იუწყებიან

ივანე მიხეილის-ძე დოლმაზაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1-III, 8 ს. გამოსვენება 2-III, 4½ ს. ვერჰარნის ქ. № 5.

შვილი მარიამ, სიძე მ. ხელაშვილი შვილით იუწყებიან

თინათინ სპირიდონის ასულ მარკოზაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2-III, 8 ს. გამოსვენება 3-III, 4 ს. ბარნოვის ქ. № 75-ა.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების—3-64-42, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

УЕ 00760 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესია

სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 27 თებერვალი. (საკდესი). გუშინ დილის პლენარულ სხდომაზე გენერალურმა ასამბლეამ განუხილველად დაამტკიცა რეზოლუციის პროექტი კვიპროსის საკითხზე, რომელიც პოლიტიკურმა კომიტეტმა მოიწონა. ეს პროექტი, რომელიც ინდოეთის დელეგაციამ შეიტანა, შეიცავს „გულწრფელ სურვილს“, რომ გამოინახოს „კვიპროსის საკითხის მშვიდობიანი, დემოკრატიული და სამართლიანი გადაწყვეტა“ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების შესაბამისად“. პროექტში აგრეთვე გამოთქმულია იმედი, „რომ განახლ